# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 31 ივლისი 1997 №88 (453) ფასი 40 თეთრი


# 5:1 და 104



გურამ [illegible] ფოტო

## დინამოელები იაშვილს „კრუზეიდერსის“ კარში გატანილ პირველ გოლს ულოცავენ და, ალბათ, თავადაც არ იციან, რომ ეს გოლი „დინამოს“ ევროპულ ისტორიაში, 25 წლის წინ რომ დაიწყო, საიუბილეო მეასეა. ცხადია, გუშინ ჩვენები ამას არ დაკმაყოფილდნენ და მონაგარს კიდევ ოთხი წაამატეს.

### გუშინ მოიგო ფოთის „კოლხეთმაც“, მაგრამ 2:1 შემდეგ წრეში გასასვლელად საკმარისი არ იყო


რეპორტაჟი ფოთიდან იხილეთ მეორე გვერდზე


პირველ თამაშში ორბურთიანი მოგებით „დინამომ“ საოთხშაბათოდ კარგი ფორა შეიქმნა. ამიტომაც იყო, გუშინ აუღელვებელი და დალაგებული რომ გავიდა სათამაშოდ. ეგ იყო, თავიდან მაჭავარიანის გამოკლებამ დაამუხრუჭათ, მაგრამ მალევე გახდა ნათელი, რომ ამით კონკრეტულ მატჩში თბილისელებს თუ არ შეუმატებიათ, არც ბევრი რამ დაუკარგავთ. მაჭავარიანის ნაცვლად შესულმა ალექსიძემ გუშინდელ წარმატებაში დიდი წილი დაიდო და ძირითადში თამაშზე სერიოზული პრეტენზიაც განაცხადა. ლიბეროდ დაქვეითებულმა ცქიტიშვილმა კი შეტევისთვის დაცვიდანაც მოიცალა და მაჭავარიანის არყოფნა „დინამოს“ ოდენ გოლის გაშვებისას თუ დაეტყო, მაგრამ ეს უკვე 3:0-ზე იყო, როცა თბილისელებმა თავს წუთიერი მოდუნების უფლება მისცეს.

მანამდე კი იაშვილმა „დინამოს“ მეასე საევროთასო გოლი გაიტანა: გოგიჩაიშვილი და დიდავა მარჯვენა ფრთიდან მიეპარნენ მეტოქის ნახევარს, გოგიჩამ ცენტრშიც შეიწია და საჯარიმოს მარცხენა ფრთაზე ალექსიძე გაიყვანა. ამას ბურთი თითქოს გაექცა, მაგრამ მოაბრუნა და კარის ხაზის გასწვრივ მის მიერ ჩაწოდებულზე მუჯირმა და იაშვილმა გრანტს და ლოულორს აჯობეს — ბოლოს ბურთი კარის მარცხენა ნაპრალში იაშვილმა შეაცურა.

ცამეტ წუთში მეტოქის მინდვრის თავში დიდავამ დაიმორჩილა ბრძოლაში რგებული ბურთი, მუჯირს მიაწოდა, ამანაც იაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა — იაშკამ გრანტი მარჯვნივ წაიყოლია, მოძრაობაში დაიჭირა და მახვილი კუთხიდან მეორედაც გაუტანა.

მორიგი ცამეტწუთეული მართლა დათარსული გამოდგა. ცქიტიშვილის და ბაქსტერის ძიძგილაობაში ანჩაბაძე აქტიურად ჩაერია და მართალია, მსაჯს ირლანდიელი გააგდებინა, მაგრამ წითელი ბარათი თავადაც დასტყუა. ეს ანჩაბაძის ერთადერთი, მაგრამ საბედისწერო შეცდომა გამოდგა, რადგან ჩვენი სტადიონი თუ გადაურჩა დისკვალიფიკაციას, თავად ვერ გადაურჩება: „ბაიერთან“ ორივე მატჩს გამოტოვებს, მხოლოდ ამას თუ დააჯერეს. რაც შეეხება სტადიონს, ამ მომენტში ხალხი ისე გადაირია, „კოკა კოლას“ თუ „ფანტას“ სავსე ბოთლები ბაქსტერს სეტყვასავით დააყარა, მაგრამ, საბედნიეროდ, მასაც აცილეს და სხვებსაც. ქომაგთა დამშვიდება დათო მუჯირმა ითავა. მორიგი ფსიქოზი სწორედ ტაიმის ბოლოს იყო მოსალოდნელი და მუმუმაც 45-ე წუთზე ჩვენების შეტევა, თითქოს ზღვის მიქცევასავით რომ მიაბრუნა თავის კარისკენ, მოულოდნელად გრანტის კარის მარცხენა კუთხეში დააგვირგვინა.


გაგრძელება მეორე გვერდზე


**დინამო 5:1 კრუზეიდერსი**

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, დიდავა, მაჭავარიანი (ალექსიძე 8), ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი (კვარაცხელია 78), კინაძე, ცქიტიშვილი, ანჩაბაძე, მუჯირი (ხომერიკი 78), იაშვილი

**კრუზეიდერსი:** გრანტი, ლოულორი (დუაიერი 46), მაკმილანი, უოქერი, დანლოპი, გალაგენი, დიგანი, ობრაიენი (კ. ჰანტერი 73), არტური (მორგანი 73), გ. ჰანტერი, ბაქსტერი

1:0, 2:0 იაშვილი (21, 34), 3:0 მუჯირი (45), 3:1 გ. ჰანტერი (58), 4:1 მუჯირი (60), 5:1 ხომერიკი (80)

**გაფრთხილება:** ლოულორი, უოქერი, გრანტი

**გაძევება:** ბაქსტერი, ანჩაბაძე

**მსაჯი:** ა. საქარი (თურქეთი)

„დინამომ“ პირველი დანაკლისი ჯერ კიდევ შარშან, „ბოავიშტასთან“ წყვეული მატჩისას განიცადა, ზვიად ჯელაძე ორი გაფრთხილების ჯამში რომ გააძევეს და ორთამაშიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს.

მეორედ ყიზილაშვილი მოისაკლისა — თამაშის წინა დღეს ბოლო ვარჯიშის შემდეგ სასწორიდან ჩამოსულმა გონება დაკარგა და მოწამლული საავადმყოფოდან გუშინდა გამოწერეს.

მესამედ თბილისელებს მაჭავარიანი გამოაკლდათ. უკვე მეოთხე წუთზე ბაქსტერთან ბრძოლაში მამუკამ კოჭი შეიტრიალა და შესაცვლელი შეიქნა.

პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, „დინამო“ ანჩაბაძემაც რომ დაალალატა — ცქიტიშვილს ბაქსტერთან კინკლაობაში გამოექომაგა, ჩრდილოირლანდიელზე ძალიანაც გაიწია და თურქი მსაჯის ორმაგი წითელის შემდეგ გასახდელისკენ ვასწია.

აბა, უამისოდ რა იქნებოდა, როცა ამ დღეში ჩავარდნილმა „დინამომ“ „კრუზეიდერსს“ მაინც შავი დღე აყარა.

**ფუხედ**

**ავსტრიის ჩემპიონატი.** მე-5 ტური. ადმირა — ზალცბურგი 2:1, ტიროლი — ლინცერი 3:0, რაპიდი — გრაცერი 1:1, რიდი — ლუშტენაუ 1:1, შტურმი — აუსტრია 0:0.

**ამხანაგური მატჩი.** მანჩესტერ იუნაიტედი — ინტერი 1:1.

**ტრანსფერები.** ფრანჩესკო ბაიანო „ფიორენტინადან“ „დერბი ქაუნთიში“ გადავიდა, კარლ-ჰაინც რიდლე კი „დორტმუნდიდან“ „ლივერპულში“.

## ჩემპიონთა ლიგა. პირველი შესარჩევი წრე

საპასუხო მატჩები. 30 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

*დინამო (თბილისი)* — კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) 5:1 (3:1)
*სკონტო (რიგა, ლატვია)* — ლა ვალეტა (მალტა) 2:0 (0:1)
**1:0 ასტაფიევი (14), 2:0 მიხოლაპი (26)**
*ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი)* — სილექსი (მაკედონია) 3:0 (0:1)
**1:0 სალოი (5), 2:0 ოჰანა (35), 3:0 ჰამარი (56)**
*მ.პ.კ.ც. (მოზირი, ბელარუსი)* — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 3:2 (1:1)
**1:0 დენისიუკი (7), 1:1 ოლეკსა (32), 2:1 ლევან ბერიშვილი (53), 2:2 კომლიონოკი (67), 3:2 კუშნირი (69)**
*ჯაზი (ფინეთი)* — ლანტანა (ტალინი, ესტონეთი) 1:0 (2:0)
**1:0 მარკო (65)**
ჟენეს ეში (ლუქსემბურგი) — *სიონი (შვეიცარია)* 0:1 (0:4)
**0:1 ზამბაზი (88)**
კარედა (შაულიაი, ლიტვა) — *ანორთოსისი (კვიპროსი)* 1:1 (0:3)
**0:1 მიჰასალოვიჩი (16), 1:1 მიკალაუნასი (22)**
ც.ს.კ.ა. (სოფია, ბულგარეთი) — *სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი)* 0:2 (3:3)
**0:1 სერბანი (35), 0:2 რეჯენკამპფი (49)**
*ვიძევი (ლოძი, პოლონეთი)* — ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიჯანი) 8:0 (2:0)
**1:0 შარპაკი (3), 2:0 კობილანსკი (8), 3:0 ზაიაცი (15), 4:0, 5:0 დემბინსკი (25, 30), 6:0 კურტიანი (68), 7:0, 8:0 შარპაკი (70 პ, 76)**
*მარიბორ ბრანიკი (სლოვენია)* — დერი სიტი (ირლანდია) 1:0 (2:0)
**1:0 დრობნე (49)**
*კროაცია (ხორვატია)* — პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) 5:0 (0:1)
**1:0 მარიჩი (13), 2:0 ცვიტანოვიჩი (15), 3:0 ვიდუკა (24), 4:0 მარიჩი (42), 5:0 ცვიტანოვიჩი (60)**
*მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი, უნგრეთი)* — პიუნიკი (ერევანი, სომხეთი) 4:3 (2:0)
**1:0 ილეში (18), 2:0 ჰალმაი (41), 3:0 პრაისინგერი (46), 4:0 კუტორი (74), 4:1 სანამიანი (81), 4:2 შახგელდიანი (85), 4:3 სანამიანი (86)**
*გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)* — გოტუ (ფარერები) 6:0 (5:0)
**1:0 დიური (22), 2:0 ნეგრი (42), 3:0 მაკკოისტი (48), 4:0 ალბერტცი (58), 5:0 ფერგიუსონი (84), 6:0 ნეგრი (90)**
ბერი თაუნი (უელსი) — *დინამო (კიევი, უკრაინა)* 0:4 (0:2)
**0:1 ბელკევიჩი (53), 0:2, 0:3 მაქსიმოვი (67, 78), 0:4 ვაშჩუკი (80)**
აკრანესი (ისლანდია) — *კოშიცე (სლოვაკეთი)* 0:1 (0:3)

## უეფას თასი. პირველი შესარჩევი წრე

საპასუხო მატჩები. 29-30 ივლისი

UEFA CUP

კოლხეთი (ფოთი) — *დინამო (მინსკი, ბელარუსი)* 2:1 (0:1)
*სელტიკი (შოტლანდია)* — ინტერი (კარდიფი, უელსი) 5:0 (3:0)
**1:0 ტომი (19 პ), 2:0 ჯექსონი (42), 3:0 ჯონსონი (45), 4:0 ჰანა (63), 5:0 ჰეი (85)**
*ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)* — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 2:0 (4:1)
**1:0 ბულატი (60), 2:0 პერცეგი (90)**
*ფერენცვაროში (უნგრეთი)* — ბოჰემიანსი (ირლანდია) 5:0 (1:0)
**1:0 ალბერტი (15), 2:0 იაგოდიში (47), 3:0 შულცი (58), 4:0 ზავადსკი (71), 5:0 იაგოდიში (74)**
*აპოლონი (ლიმასოლი, კვიპროსი)* — მიუპა (ფინეთი) 3:0 (1:1)
**1:0 მლადენოვიჩი (54), 2:0 ცოლაკისი (58), 3:0 პიტასი (82)**
პობედა (მაკედონია) — *ოდრა (ვოძისლავი, პოლონეთი)* 2:1 (0:3)
**0:1 ზაგორსკი (18), 1:1, 2:1 და კოშტა (83, 87)**
ერევანი (სომხეთი) — *დნეპრი (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა)* 0:2 (1:6)
**0:1 გეცკო (41), 0:2 ბელკინი (89)**
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — *რეიკიავიკი (ისლანდია)* 1:2 (0:2)
**0:1, 0:2 დადასონი (12, 22), 1:2 ნირიტა (42)**
ოცელული (რუმინეთი) — *გორიცა (სლოვენია)* 4:2 (0:2)
**1:0, 2:0 სტეფანი (20, 27), 3:0 სტატე (63), 4:0 ვიორელი (75), 4:1 პროტეჯა (88), 4:2 დემიროვიჩი (90)**
ფლორა (ტალინი, ესტონეთი) — *ჰაპოელი (ფეთაჰ ტიკვა, ისრაელი)* 1:2 (0:1)
**1:0 ობერი (17), 1:1 ოფრი (46), 1:2 კაკუნი (63)**
*ბობი (ბრნო, ჩეხეთი)* — ინკარასი (კაუნასი, ლიტვა) 6:1 (1:3)
**1:0 ხალუპკა (7), 2:0 ვალნოჰა (15), 2:1 ბაკუსი (16), 3:1 ჰოლომეკი (25), 4:1 ხალუპკა (50), 5:1 ვალნოჰა (54), 6:1 კოლომაცნიკი (63)**
*ვორსკლა (პოლტავა, უკრაინა)* — დაუგავა (რიგა, ლატვია) 2:1 (3:1)
**1:0 შიშენკო (30), 1:1 ვუცანსი (49), 2:1 ანტიუხინი (58)**
ყარაბაღი (აგდამი, აზერბაიჯანი) — *იაბლონეცი (ჩეხეთი)* 0:3 (0:5)
**0:1 პროჰაზკა (73), 0:2 ჰოლუბი (80), 0:3 ჰუკოლი (87)**
*სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი)* — ბირკირკარა (მალტა) 3:1 (1:0)
**1:0 ტიმკო (30), 2:0 ჰადვიგერი (45), 2:1 გალეა (86), 3:1 ფორმანკო (88)**
ტილიგული (მოლდოვა) — *ქსამაქსი (შვეიცარია)* 1:3 (0:7)
**0:1 სანჯაკი (11), 1:1 ლუკიანჩიკოვი (14), 1:2 მარტინი (28), 1:3 ჟენე (80)**
*ვიკინგი (ნორვეგია)* — ვოივოდინა (ნოვი სადი, იუგოსლავია) 0:2 (2:0) პენ. 5:4
**0:1, 0:2 ვულევიჩი (4, 88)**
კლაკსვიკარი (ფარერები) — *უიპეშტი (უნგრეთი)* 2:3 (0:6)
**1:0 დანიელსენი (14), 1:1 ცანიო (39), 2:1 მორკორე (73), 2:2, 2:3 სებოკი (77, 89)**
ნეფტოხიმიკი (ბურგასი, ბულგარეთი) — *ბრანი (ნორვეგია)* 3:2 (1:2)
**1:0 ტრენდაფილოვი (10), 2:0 პარუშევი (26), 2:1 პარტსმუნი (60), 3:1 კისელიჩკოვი (72), 3:2 პარტსმუნი (82)**
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) — *გრასჰოპერი (შვეიცარია)* 1:7 (0:3)
**0:1 მანინი (15), 1:1 ო დოუდი (22), 1:2 ესპოზიტო (27), 1:3 აჰინფული (33), 1:4 შილზი (51 საკ. კარში), 1:5 ტიკვა (63), 1:6 იაკინი (64), 1:7 ესპინელი (83 საკ. კარში)**
*დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)* — პრინჩიპატი (ანდორა) 9:0 (8:0)
**1:0 მაკსვიგანი (8), 2:0 ვინტერსი (23), 3:0 მაკსვიგანი (24), 4:0 მაკლარენი (37), 5:0 ვინტერსი (42), 6:0 ოლაფსონი (55), 7:0 ზეტერლუნდი (59), 8:0 მაკსვიგანი (65), 9:0 ტომპსონი (88)**

## ინტერტოტო. ნახევარფინალური ეტაპი

საპასუხო მატჩები. 30 ივლისი

INTERTOTO CUP

*ბასტია (საფრანგეთი)* — ჰამბურგი (გერმანია) 1:1 დ.დ. (1:0)
*ჰალმშტადი (შვედეთი)* — ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი, რუსეთი) 1:0 (0:0)
*მონპელიე (საფრანგეთი)* — კიოლნი (გერმანია) 1:0 (1:2)
*ლიონი (საფრანგეთი)* — ისთანბულსპორი (თურქეთი) 2:0 (1:2)
*დუისბურგი (გერმანია)* — დინამო (მოსკოვი, რუსეთი) 3:1 (2:2)
ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) — *ოსერი (საფრანგეთი)* 4:1 (0:3)

# 5:1 და 104

მეორე ტაიმში „კრუზეიდერსს“ თბილისელებმა რამდენიმე წუთით თამაშის საშუალება მისცეს. ირლანდიელებმა ბურთი ერთ-ორ წუთს ისე აგორეს, „დინამოს“ არც დაანახეს. ჩვენებმა ამათ ცოტა ხანს აცადეს და მუჯირმა შორი მოულოდნელი დარტყმა „კრუზეიდერსის“ კარს გადაალუნა. ეს მორიგი გოლის ნიშანი იყო, მაგრამ თურმე თბილისელთა კარში. ქართველებს შეტევა სათავისოდ შემოუბრუნდათ: გლენ ჰანტერმა საჯარიმოში კალაძე დასცა და მისი ფეხიდანვე ასხლეტილი დარტყმა ზოიძის ზურგს უკან ჩაეშვა.

გაშვებულმა გოლმა „დინამო“ ისე გააფხიზლა, რომ ორ წუთში მეტოქის თავს დატეხილი უბედურება გოლით დააგვირგვინა. საჯარიმო ხაზთან კარისკენ ზურგშექცეულმა მუჯირმა იმდენი მოახერხა, რომ ბურთი მეკარესთან პირისპირ დარჩენილ იაშვილს გადაუგდო, ამან ჩინებულად გადაატარა გრანტს თავზე, მაგრამ ხარიხას მოახვედრა და გადმოვარდნილი იქვე გაჩენილმა მუჯირმა მშვიდად გაიტანა.

დიდი ანგარიში მეორედ გაკეთდა. თამაში აშკარად ცალკარა გახდა. სტუმრებმა ერთხელღა დაარტყეს, მაგრამ ზოიძემ ივარგა. ჩვენებმა კი კვლავაც არაერთი შეტევა წამოიწყეს და მათგან ერთ-ერთი მატჩის ულამაზესი გოლითაც დაასრულეს.

არაინგლისელ ბრიტანელებს საქრესტომათიოდ ბლომად მასალა დაუგროვდათ. ისეთი გოლი, ქინქლაძემ კარდიფში საუთჰოლს რომ გაუტანა, ჩრდილოირლანდიელებმა ორივე მატჩში თითოჯერ გაუშვეს. „დინამომ“ „კრუზეიდერსის“ განადგურება ბელფასტში კიკნაძის აზრაგანით დაიწყო და თბილისში ხომერიკისათი დაამთავრა.

მეხუთე გოლს სილამაზე იმანაც შემატა, რომ ალექსიძემ თამაშში წუთის შესულ ხომერიკს ფარული, გამოზომილი პასი მიაწოდა და ამანაც მეორედ დაარწმუნა გრანტი, რომ კარის უდროოდ დატოვება სახიფათო რამაა.

ქართველთა გუშინდელი თამაში მართლა კარგი რამ სანახავი იყო, სტუმრები კი ამ მატჩში უსუსტესნი ჩანდნენ. ამაში „დამნაშავე“ „დინამოც“ იყო, საქმე პირველივე შეხვედრაში



წამში დემიან გრანტი მეორე გოლს გაუშვებს

რომ მოითავა. ამის შემდეგ მათ წარმატებაში არც „ბაიერის“ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს ეპარებოდა ეჭვი. მეტიც, როგორც გუშინ დილით „სარბიელს“ განუცხადა, ქართველთა უპირატესობაში დარწმუნებულიც გახლდათ. ამიტომაც ეწვია თბილისს განმეორებითი მატჩის საცქერადაც, თბილისელთა თამაშს კარგად დააკვირდეს, სადმე ფეხი რომ არ წამოკრას. მისდა სამწუხაროდ, თბილისში თამაშზე მეტად „დინამოს“ ვარჯიში იხილა, მაგრამ აბა რა „დინამოს“ ბრალი იყო, რომ მეტოქის მოთამაშენი სავარჯიშო ჭიგოებივით იყვნენ მინდორზე დარჭობილნი. თუმცა, დაუმმა ანჩაბაძის გაგდებით მაინც გაიხარა...

**ვახტანგ ბზიკაძე**

## ანჩაბაძე უმიზეზოდ გააგდეს

„დინამოს“ დიდი ანგარიშით მოგებით, ცხადია, ჩვენმა გულშემატკივარმა გაიხარა, მაგრამ ფეხბურთში გამარჯვებულთან ერთად დამარცხებულიც არის. ამ შემთხვევაში გამარჯვებულზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. მათზე ბევრი დაიწერა და ბევრიც დაიწერება. აი, დამარცხებულის აზრი კი, მიუხედავად განადგურებისა, ურიგო არ იქნებოდა. „კრუიზეიდერსის“ მწვრთნელი რეი უოქერი თავის თბილისელი კოლეგებისავით პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, მაგრამ მასთან გასაუბრების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ბელფასტელების ავტობუსს დავემგზავრე და უოქერიც სწორედ „მეტეხში“ მოვიხელთე. ის ნომერში ასასვლელად ემზადებოდა. ძალიან დაღლილი ჩანდა, მაგრამ რომ დამინახა, ათიოდე წუთი სიამოვნებით დამითმო.

**— წაგებაზე საუბარი არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ მაინც რას იტყოდით დღევანდელ შეხვედრაზე?**

— თავიდანვე ვიტყვი, ობიექტურად ძლიერმა იმარჯვა. მარცხს წინასწარ ვიყავი შეგუებული. თქვენებმა ბელფასტში დაგვჯაბნეს და აქ რა უნდა გვექნა. მე-10 ნომრის გაძევებამდე „დინამო“ უფრო ძლიერად თამაშობდა. მე მოხარული ვარ, ჩვენებმა გოლი რომ შეაგდეს.

**— მატჩი ძალზედ დაძაბული გამოდგა. იყო მომენტი, გულშემატკივრების სტადიონზე შეჭრას ცოტაღა აკლდა. მსაჯის მიერ წითელი ბარათების ფრიალზე რას იტყოდით?**

— ვფიქრობ, არბიტრი ჩვენებურის გაძევებაში სწორი იყო. ბაქსტერი ზედმეტად ნერვიულობდა და უხეშობდა. აი, ანჩაბაძის გაძევებას კი არ ვამართლებ. იგი ჩხუბის მომენტში იქ არ იყო და, ჩემი აზრით, შეცდომით დაისაჯა. თქვენებს შორის ყველაზე ძლიერ იგი მომეწონა. დასანანია, ასეთი კლასის ფეხბურთელი გერმანელებთან რომ დაგაკლდებათ. ისე კი მსაჯობით უკმაყოფილო ვარ. ჩემი აზრით, მეორე გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა.

**— 1:5 მარცხის ფონზე თქვენიანების თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— ნახევრადპროფესიული გუნდისგან მეტს რას უნდა ელოდე. ჩვენ დღისით ვმუშაობთ, საღამოს კი ვვარჯიშობთ. ევროტურნირებზე მონაწილეობა კარგია, ერთი-ორი ეტაპის გავლაც არ გვაწყენდა, მაგრამ კონტინენტზე დიდი ამბიციები არასდროს გვქონია. ჩვენი დღევანდელი თამაში შინაურ ჩემპიონატში თუ გამოგვადგება, თორემ ევროპაში არასდროს. 1:5 წავაგეთ, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში ზუსტად დღევანდელივით რომ გვეთამაშა, დამიჯერეთ, მოვიგებდით.

**— და ბოლოს, მოკლედ რომ ვთქვათ, „დინამომ“ სამუშაო ხომ არ დაგაკარგინათ?**

— არა, რას ამბობთ. ჩვენი კლუბის მთავარი მიზანია შინაური ჩემპიონატი და თასებში გამარჯვება, თორემ ევროტურნირებზე წაგება არაფერია. მე სამუშაოს მაშინ დავკარგავ, როცა „კრუზეიდერსი“ ჩრდილო ირლანდიაში ვეღარ ივარგებს.

ამ მოკლე გასაუბრების მერე უოქერი და მე დავშორდით — იგი ნომერში ავიდა, მე კი ავლაბრის ქუჩებს დავუყევი. გზად კი ზოიძის კარში ერთადერთი გოლის გამტან გლენ ჰანტერის ნაჩუქარ ბიბლიას ვათვალიერებდი.

**ლაშა გოდუაძე**

## დაუმი: ფანტასტიკ!

მატჩის კულმინაციური მომენტი ანჩაბაძე-ბაქსტერის ჩხუბი იყო. როგორც კი ორივეს თურქმა მსაჯმა წითელი აუფრიალა, მეც მათთან ერთად გასახდელს მივაშურე. გიორგი თავდაღუნული, დამწუხრებული იჯდა სტადიონის ორიოდე შემოსწრებული თანამშრომლისა და ახლობლის წრეში და წყვეტილად, გამწარებული ლაპარაკობდა.

— მსაჯისგან დაფარულად ხან ფეხს ჩაგვარტყამდნენ, ხანაც იდაყვს... ვეღარ მოვითმინე... გერმანიაშიც ვეღარ ვითამაშებ...

სტივ ბაქსტერი, როგორც ნაღდი ირლანდიელი, ჩხუბის შანსს ხელიდან გაუშვებდა? წითლის შემდეგაც ვერ დაოკდა და კინაღამ მაყურებლისგან ბოლო კაპიკებით ნაყიდი „ფანტა“ და „კოკა-კოლა“ მოხვდა. გასახდელში კმაყოფილი იერით იჯდა, თუმცა, როცა დაველაპარაკე (ეს უკვე მატჩის დასასრულს), შეცბუნებული იყურებოდა აქეთ-იქით. ბუნებრივია, ხვდებოდა, რომ სტადიონზე ნასროლით არ ამოიწურებოდა გამაგრილებელი წყლის რაოდენობა. რომ ვთხოვე, ვისაუბროთ-მეთქი, ო კეი, ო კეი — ისე სწრაფად თქვა, ეტყობა, იფიქრა, უარის შემთხვევაში დიქტოფონს არადანიშნულებისამებრ გამოვიყენებდი. არადა, მსგავსი, ცხადია, არ მიფიქრია.

**— სტივ, ასე ძალიან რატომ გამწარდი?**

— არა, არა, მე მსგავსი არაფერი გამიკეთებია. ჯერ თქვენიანმა დამარტყა და მეც ხურდა დავუბრუნე.

**— დარტყმები თქვენგან მოდიოდა...**

— თქვენები უფრო აქტიურობდნენ. თანაც ისე შემაგინა, ვეღარ მოვითმინე. რაც უნდა დიდი ანგარიშით ვაგებდეთ, თავმოყვარეობისა და კლუბის პრესტიჟის დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალია. ამანაც გამამწარა.

შესვენებისას საინტერესო საუბრის მომსწრე გავხდი. როდესაც მოთამაშეებმა გასახდელს მიაშურეს, მუჯირი უოქერს ინგლისურად ეკითხებოდა, რა გინდათ, რატომ გვჩეხავთ, ხომ არ ვიჩხუბებთო? — ულვაშა ირლანდიელს გაეცინა, სხვა რა ვქნათ, უბრძოლველად ხომ არ დაგნებდებითო.

მატჩის შემდეგ კი მოთამაშეებისგან კომენტარზე კვლავ თავაზიანი უარი მივიღე — ყიფიანმა აგვიკრძალა, თავნებებს 500 დოლარით დაგვსჯისო.

„დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტ რომიკო შოთაძეს კი ის აწუხებდა, უეფადან რა მოჰყვება მაყურებელთა ქცევას.

— უეჭველია, სტადიონს დააჯარიმებენ, მაგრამ მარტო ამას გვაკმარებენ? მსაჯის მოქმედება მთლად მოსაწონი ვერ იყო, მაგრამ არავის უნდა მივცეთ დაჯარიმების საბაბი.

**— ზოგი რამ მომავალზეც — ლობჟანიძის „დინამოში“ დაბრუნება შესაძლებელია?**

— ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ მისი შესყიდვა, ცსკას თავკაცებსაც მოველაპარაკეთ. გვსურდა ჯამარაულის დაბრუნებაც, მაგრამ თურქები უარზე არიან. იყო ლაპარაკი ღუდუშაურის დამატებაზეც. ეს მწვრთნელთა გადასაწყვეტია.

**— მართალია, რომ გოგიჩაიშვილით „არსენალი“ დაინტერესდა?**

— მისით რამდენიმე ინგლისური კლუბი მართლაც დაინტერესდა, მათ შორის „არსენალიც“.

ზაზა ბოკერია ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელ კრისტოფ დაუმთან ერთად უყურებდა თამაშს.

— ანჩაბაძე როდესაც გააგდეს, დაუმი სიხარულით წამოხტა, ფანტასტიკ წამოიძახა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა, საუკეთესო ფეხბურთელი დაჰკარგეთ, ამაზე უკეთესს ვერც ვისურ-



დაშავებული და გაძევებული

ვებდიო. კმაყოფილი წავიდა.

**— რა აზრი დარჩა „დინამოზე“?**

— არაჩვეულებრივად ტექნიკური გუნდიაო. ვუთხარი, თქვენთან მოგების მხოლოდ 10 პროცენტიანი შანსი გვაქვს-მეთქი. მან ხელები გააქნია და გაცილებით მეტიო, თქვა. ყველაფერი დეტალურად ჩაინიშნა: როგორ ასრულებდნენ ჩვენები სტანდარტულებს, თითოეული მოთამაშის მოქმედება, აბსოლუტურად ყველა დარტყმა და მათი შემსრულებელი. მითხრა, ბურთაობა კი იცით, მაგრამ ჩვენთან ეს არ გაგივათ, ჩვენ სივრცეს უკეთესად ვფლობთო.

**— ჩვენგან ვინ მოეწონა?**

— მუჯირი და იაშვილი. მოკლედ რომ გითხრათ, ნამდვილად გერმანულად იმუშავა, 20 ფურცელი შეავსო. აქედან კმაყოფილიც წავიდა. მით უფრო, რომ ანჩაბაძე გაგვიგდეს.

**მერაბ გამულაშვილი**

## პრესკონფერენცია

არც ყიფიანი და არც უოქერი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ.

# მოვიგეთ, მაგრამ წავაგეთ

**კოლხეთი 2:1 დინამო**

**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გოროზია, ხვადაგიანი, მონასელიძე (მახარაძე 53), ვ. გვასალია, ფანჩულიძე (ლალანიძე 39), დარასელია, ქებაძე, ქობულაძე

**დინამო:** ევნევიჩი, შილო, ტარლოვსკი (მიშჩიშინი 63), დოვნარი, იასკოვიჩი, ჟურაველი, ჩერნიავსკი, ვოლოდენკოვი (მაკარენკო 29), პოდრეზი, მ. მაკოვსკი (ლაგოდიჩი 63), ვ. მაკოვსკი

0:1 ვ. მაკოვსკი (18), 1:1 მიქაბერიძე (38), 2:1 ლალანიძე (58)

**გაფრთხილება:** ფანჩულიძე, ლალანიძე, გოროზია, ტარლოვსკი, ჩერნიავსკი

**მსაჯი:** ვ. ბუტენკო (რუსეთი)

გუშინდელ მატჩში „კოლხეთის“ სათამაშო უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა ფოთელთა მიერ შექმნილი ყველა სახიფათო მომენტის აღწერას ალბათ გაზეთის ერთი გვერდიც არ ეყოფა. პირისპირ გასვლა გნებავთ, ცენტრიდან თუ ფლანგიდან შეტევა და ჩაწოდება, ფოთელებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„კოლხეთისგან“ ყველა მოელოდა, რომ თავიდანვე შეუტევდა. მას ხომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა, მინიმუმ ორი უპასუხო გოლის შეგდება სჭირდებოდა, მაგრამ ვერ გეტყვით, რისი ბრალი იყო, რომ ფილიას გასაკეთებელი ბაიდაჩნიმ გააკეთა. „დინამომ“ პირველი ხუთი წუთის მანძილზე ისე შეუტია მასპინძლებს, გეგონებოდათ, ერთბურთიანი უპირატესობა კოლხებისა იყო. ფილიამ ერთი დავდამსხმელით — ქებაძით დაიწყო თამაში. მართალია, მიქაბერიძე კი ეხმარებოდა „ტორპედოდან“ დამატებულს, მაგრამ უკანაც გვარიანად უხდებოდა ჩასვლა. როგორც გითხარით, პირველი ხუთი წუთი აშკარად სტუმრების იყო. ფოთელები მეტოქის ნახევარზე მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ. ხვადაგიანმა და დარასელიამ ტყუპისცალივით მსგავსი საჯარიმოები დაურტყეს ევნევიჩს, მაგრამ ორივე არაზუსტი გამოდგა. მანამდე ძმებ მაკოვსკებს შეეძლოთ ეხეირათ — საბედნიეროდ, „კოლხეთი“ გადარჩა. ფოთელების სადებიუტო ზანტობა ალბათ დაბნეულობით თუ იყო გამოწვეული, რადგანაც აღწერილი მომენტების ძეძეგ ისე დასახლდნენ ძისსკელების ნახევარზე, ორი გოლი რაა, ბარე შვიდი, რვაც ალალი იქნებოდა. მასპინძლებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში უამრავი რეალური, თითქმის ასპროცენტიანი რომ ეთქმის ისეთი, მომენტი გააცუდეს. მინსკელთა კარი მოჯადოებულს წააგავდა, თუმცა, ევნევიჩსაც თავისი დამსახურება არ დავუკარგოთ. იქნებ სწორედ მისი ბრალია, ფოთელებმა ორზე მეტად რომ ვერ ივარგეს. სამაგიეროდ, სტუმრებმა ერთი გაიტანეს და საკმარისი: მე-18 წუთზე მარჯვენა ფლანგზე მცველი დოვნარი ჩაერთო იერიშში, მოკლე პასი გადააწოდა პოდრეზს, ამან გვასალიას ცხვირწინ დაბალი ჩააწოდა, მცველთაგან უყურადღებოდ დატოვებულმა ვლადიმერ მაკოვსკიმ კი მეკარეს მიმართულების საწინააღმდეგოდ დაურტყა და „ოქროს“ გოლიც გაიტანა.

მასპინძელთა დაცვაზე ჩამოვარდა სიტყვა, რომელიც ძალიან დაბნეულად თამაშობდა, განსაკუთრებით ცენტრალური მცველები. ფოთელი მცველების უყურადღებობის გამო სტუმრებსაც ბევრჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ... მოლოდინის თამაშის შემდეგ სწორი უთქვამს გიორგი დარასელიას, თქვენს „დინამოს“ ჩვენი, თბილისისა გაცილებით სჯობსო. მართლაც ასეა: ისეთ ელემენტარულ მომენტებს ვერ იყენებდნენ ბელარუსები, უკლასობის გარდა ვერაფერს დააბრალებდი. ცოდვილ თავდამსხმელთა შორის განსაკუთრებით ლობანოვსკისგან ნაქები მაკოვსკი (ვლადიმერი) გამოირჩეოდა.

ფოთელებმა 38-ე წუთზე შეძლეს გათანაბრება. „კოლხეთში“ ბოლოჯერ მოთამაშე დარასელიამ ულამაზესი პასით მცველების ზურგსუკან დატოვა მიქაბერიძე, ერთი-ერთზე გასულს კი გატანა არ გასჭირვებია. სხვათა შორის, „ტურამ“ თავისი პირობა შეასრულა: მატჩის წინ ბევრჯერ გაუმეორებია, ორს თუ არა, ერთ გოლს ნაღდად გავიტანო. მეორედ 58-ე წუთზე იხეირეს ქართველებმა. ეს შეცვლაზე შესული ლალანიძის უძლიერეს და უმშვენიერეს დარტყმულს მოჰყვა. ალბათ გახსოვთ, შარშან ჯამარაულმა რომ გაუტანა მოსკოვის „ტორპედოს“ თბილისში. ჰოდა, ისეთივე სილამაზის გახლდათ ზაველის შესრულებულიც.

შემდეგ ფოთელები რატომღაც დაწყნარდნენ, თუმცა ეს ყველაფერი ბაიდაჩნის ჭკვიანური შეცვლების შედეგი იყო. ორი ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა, ორივე ერთმანეთზე უფრო რომ აქტიურობდა. ამით უპირატესობაც სტუმრებმა მოიპოვეს, თუმცა ისევ დროებით. ჯერ იყო და, დარასელიამ ისეთი საჯარიმო დაარტყა, ბურთი კარის წინ მდგარ შილოს რომ მოარტყა, კინაღამ სული გააფრთხობინა და ისიც მხოლოდ ექიმთა ჩარევის შემდეგ მოვიდა გონს. მერე ისევ არაერთი გამოუყენებელი საგოლე მომენტი იყო, რასაც „კოლხეთის“ უეფას თასიდან გამოვარდნა მოჰყვა.

ჩემთვის ჯერაც გაუგებარი ცვლილებების შესახებაც ვიტყვი. საწყენად ნამდვილად არ ვამბობ, მაგრამ ვერაფრით ამომიხსნია, სოსო ფილიამ ქებაძე გიორგაძით რატომ შეცვალა. ქებაძე ერთადერთი იყო, „დინამოს“ სამი მცველი რიგრიგობით რომ მეურვეობდა. მინსკელთა მთელი დაცვა სწორედ მას ეჭირა, მწვრთნელმა კი... ბაიდაჩნიმაც არ დააყოვნა და ქებაძის მეურვე მცველებს სიმშვიდისკენ, საჭიროების შემთხვევაში, იერიშებში ჩართვისკენაც მოუწოდა. და კიდევ, სიმართლე გითხრათ, შესვენებაზე და მატჩის დასასრულს მსაჯებისთვის მიყენებული შეურაცხყოფის მიზეზი ვერ გავიგე. ფოთელ მაყურებელს წესიერებაში და სიმშვიდეში ბევრი ნუ შეედრება, მაგრამ გუშინ ნამეტანი მოუვიდათ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, რადგანაც ბუტენკომ და მისმა თანაშემწეებმა ისე იმსაჯეს, ბევრს გაუჭირდებოდა. თუმცა ფოთელთა ქცევას ნაწილობრივი გამართლება მაინც აქვს — მათმა საყვარელმა გუნდმა ხომ წლევანდელ ევროპულ გათამაშებაში ვერაფრით იხეირა.

მოკლედ, ასე დასრულდა კოლხთათვის მეორე საევროპო ასპარეზობა. სტუმრებმა კი, ერთ-ერთი იქაური ჟურნალისტისა არ იყოს, მზიურ კოლხეთში გამომგზავრებულებმა ოდენ გულადობა და ღონე არ იკმარეს, ორივეს ერთად აღებულს სიფრთხილე, ეშმაკობა და გონივრულობა დაუმატეს.

**კობა ინასარიძე ფოთიდან**

## მატჩის შემდეგ

*ანატოლი ბაიდაჩნი* („დინამოს“ მთავარი მწვრთნელი):

— კოლხეთთან ორი მატჩის ჯამში გამარჯვებას ვვარაუდობდით. შეიძლება ითქვას, არ გაგვიჭირდებოდა, თუმცა, უკვე პირველმა თამაშმა ქართველებზე აზრი შეგვაცვლევინა. მოლოდინში ჩვენ დამაჯერებლად უნდა მოგვეგო და ეს უფრო პირველ ტაიმში ჩანდა. „დინამოს“ გამძლეობა აკლია. ეს ფოთის მატჩმაც დაგვანახა. ჩვენები რომ არ დაწინაურებულიყვნენ, ახლა, ალბათ, სხვა გუნებაზე ვიქნებოდი. საერთოდ იმას ვიტყვი, რომ „დინამო“ და „კოლხეთი“ ერთი დონის არიან — აშკარად აკლიათ კლასი, ურომლისოდაც დიდ შედეგებზე ფიქრიც კი ზედმეტია. თქვენებიდან ქებაძე მომეწონა — კარგად ფლობს ბურთს, დრიბლიორიც არის. პირველ მატჩში კვენეტაძემაც დამამახსოვრა თავი. რაც შეეხება დარასელიას, ჩემი აზრით, მან სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თქვენთან მას ბევრს აქებენ. მსაჯებზე საერთოდ არც ცუდს ვამბობ და არც კარგს. მოლოდინში ფორტუნა „კოლხეთის“ მხარეს იყო, აქ კი ჩვენ გაგვიმართლა.

*მამუკა მიქავა* („კოლხეთის“ მწვრთნელი):

— შესვენებისას ბიჭებს ვუთხარით, ჯერ კიდევ არის შანსი და ბოლომდე იბრძოლეთო. მათაც თითქმის ყველაფერი გაილეს. ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და დავმარცხდით. თუმცა, მსაჯს რომ აშკარა 11-მეტრიანი დაენიშნა ჩვენს სასარგებლოდ...

ჩვენი გუნდიდან ტორჩინავას გამოვყოფდი. მან ორივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. მინსკელებიდან ჩერნიავსკი და ვლადიმერ მაკოვსკი გამოირჩეოდნენ.

*ვლადიმერ მაკოვსკი:*

— პირველ მატჩში რომ დიდი ანგარიშით მოგვეგო, პრობლემები აღარ შეგვექმნებოდა. ჩვენდა იღბლად, პირველ 20 წუთში მასპინძლები ვერ აეწყვნენ და გოლიც გავიტანეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ნამეტანი გაგვიჭირდებოდა. მეორე ტაიმში კიდევ ერთი შანსი მქონდა: კარში დარტყმას ვაპირებდი, მაგრამ მარცხნივ ჩერნიავსკი მეხსნებოდა და მას გადავაწოდე. ჯობდა, თვითონვე დამერტყა.

*ნუგზარ მიქაბერიძე:*

— არც იქ გაგვიმართლა და არც აქ. ბედის ირონიაა. ამდენი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა როგორ იქნება? მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ რაღ გინდა...

**იუზა ძაციტაძე ფოთიდან**

# ოთარ კორღალიძე: დეზერტირობას არ ვაპირებთ

საბჭოთა საქართველოსდროინდელ რესპუბლიკურ პირველობებში სხვებთან ერთად სამხედრო უწყების გუნდებიც მონაწილეობდნენ. ოდკა (წითელი არმიის საოლქო სახლი) 1940 წელს მეორე ადგილზე გავიდა, სამი წლის შემდეგ კი ჩემპიონი გახდა. 1950-51 წლებში ფაქტობრივად იგივე, ოღონდ სახელშეცვლილი გუნდის — ტოდო (თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლი) ზედიზედ ორჯერ იყო უძლიერესი. 1968 წელს უკვე თბილისის ასკ-მ შეიშნო პირველობა. გავიდა ხუთი წელი და არმიელები ბოლოჯერ მოხვდნენ პრიზიორებში — მესამეზე გავიდნენ.



**ამ მოკლე შესავალს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფის ბინადარს — ასკ-ს ვუძღვნით. ეს გუნდი ახლა წყალტუბოშია ორკვირიან შეკრებაზე და თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმშია დაბინავებული. ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, რომ ამ ცოტა ხნის წინ არმიელთა მთავარ მწვრთნელად *ოთარ კორღალიძე* დაინიშნა.**

**— წინა სეზონი „გურიაში“ თამაშით დაიწყეთ და „ოდიშში“ გააგრძელეთ, თუმცა ჩემპიონატის დასრულებას აღარ დალოდებიხართ...**

— დიახ, ზუგდიდში ყოფნისას უეცრად გადავწყვიტე თამაშისთვის თავის დანებება. უფრო მეტად ასაკის გამო. რაც არ უნდა იყოს, 38 წლისა ვარ. მაგრამ ფეხბურთს საერთოდ ვერ ჩამოვშორდებოდი და თბილისში რომ დავბრუნდი, ნორჩ დინამოელში დავიწყე მწვრთნელობა. ბავშვებთან ორი თვეც არ მქონდა ნამუშევარი, რომ ასკ-ს თავკაცობა შემომთავაზეს. რადგან მხოლოდ მეორე ჯგუფის გუნდი იყო, დავთანხმდი, ვიფიქრე, მოვსინჯავ-მეთქი თავს.

**— დავითვალე 11 გუნდში, მათ შორის უცხოურებშიც, ხართ ნათამაშევი. მეტი თუ არა, ორი ამდენი მწვრთნელის ხელში გაგივლიათ. მუშაობა არ უნდა გაგიჭირდეთ...**

— ჭკუის დამრიგებელი მართლაც ბევრი მყავდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთთან არასდროს გართულება არ მქონია. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ შრომა არ მეზარებოდა. კარგი ყველა მწვრთნელშია, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად. ყველასგან ცოტ-ცოტაც რომ გადმოვიღო, საქმეში აუცილებლად წამადგება. რადგან დავიწყე, უკან აღარ დავიხევ.

**— თავდაცვის სამინისტროში მაგრად უყვართ ფეხბურთი?**

— მთლიანად სამინისტროსი რა მოგახსენოთ და სპორტული ქვეგანყოფილების უფროსი ვახტანგ მახარაძე და ბევრი სხვაც დაინტერესებულნი არიან ძლიერი გუნდის შექმნით. ყოველგვარ დახმარებას გვპირდებიან.

**— გუნდში მისვლისას შემადგენლობის გადახალისებას შეუდგებოდით...**

— როგორ გითხრათ, ნახევარზე მეტს ადრეც უთამაშია გუნდში, ასე რომ, ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია. ახლებს რაც შეეხება, დავიმატეთ გამოცდილი ფეხბურთელები — მერაბ თევზაძე და მამუკა ფანცულაია. ხაშურიდან გადმოვიდნენ მეკარე ლევან აბაშიძე, შალვა ლაცაბიძე და მიხეილ კალმახელიძე. „დინამოს“ სკოლიდან მივიღეთ დათო რობაქიძე. ჭიათურელმა ვოვა ვაშაძემ კი ცოტათი დამასწრო გუნდში მისვლა. ეს არის და ეს.

**— თქვენი შემადგენლობის შემყურე, მეორე ჯგუფში სირთულეები არ უნდა გელოდეთ...**

— იქნება ასეც იყოს, თუმცა ბევრი გუნდის ამჟამინდელი დონე ჩემთვის უცნობია.

**— ლაშა მონასელიძე „კოლხეთში“ გყავთ განათხოვრებული. რამდენადაც ვიცი, ფოთში მისი დატოვება სურთ.**

— ჩვენს გარეშე ეს საკითხი არ გადაწყდება. ალბათ, შევთანხმდებით. სხვათა შორის, კიდევ ერთი ჩვენი მოთამაშე დათო დობორჯგინიძე „ბათუმშია“ გასინჯვაზე.

**— თქვენს გარდა ხელმძღვანელობაში ვინ არიან?**

— გუნდის უფროსი თენგიზ მონასელიძეა, მწვრთნელები კი მამუკა აბუსერიძე, მამუკა გეგეჭკორი და თემურ ცერცვაძე.

**— ჩემპიონატისთვის მზადება როგორ მიდის?**

— სამი კვირა თბილისში ვვარჯიშობდით, მერე წყალტუბოში ჩამოვედით, აქ 2 აგვისტომდე დავრჩებით. რამდენიმე საკონტროლო თამაში ჩავატარეთ: მორკინალ-კოდაკოსთან — 0:2, „მეტალურგთან“ — 2:0, თსუ-სთან — 1:1, „სამგურალთან“ — 2:2 და 2:4, „ტორპედოსთან“ — 0:3. ერთ-ორ მეტოქეს, ალბათ, კიდევ შევხვდებით.

**— წყალტუბოში ცუდად არ მოწყობილხართ...**

— იცით, ძველი დრო მახსენდება. იდეალური პირობები გვაქვს: კვება, ვარჯიში, დასვენება — ყველაფერი თავის დროზე. სანატორიუმის თანამშრომლები თან გვყვებიან, არც „სამგურალის“ საწვრთნელ ბაზაზე გვაკლებენ ყურადღებას. მოკლედ, ფუფუნებაში ვართ.

**— გუნდის ამოცანაზე ჩემპიონატში აღარ გეკითხებით, ისედაც ნათელია...**

— მე მაინც გეტყვით. პირველ ჯგუფში გადასვლას, მერწმუნეთ, არავინ გვაჩქარებს, მაგრამ ჩვენ ამისთვის ვიბრძოლებთ. თუ გამოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და გამქცევები არა ვართ.

**— სამხედრო ენით რომ ვთქვათ, დეზერტირები...**

— ჰო, დეზერტირობას არ ვაპირებთ.

**იუზა ძაძიტაძე წყალტუბოდან**


**სარეკლამო სააგენტო**
**კოკი და კომპანია**

**რეკლამის დამზადება**

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

**კომპიუტერული მომსახურება**

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

**25% ფასდაკლებით!!!**

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

**ტელ. 95 96 56**


## ორშაბათს ქუთაისში:
### სუპერფინალი მეორედ, ქალთა ფინალი პირველად

შეუფერებელი საშუალობისა და უყურადღებობის შემდეგ ქუთაისურ ფეხბურთს გამოკეთება დაეტყო. „ტორპედომ“ ახალი ჩემპიონატისთვის სამზადისი ყველაზე ადრე დაიწყო. გუნდის ხელმძღვანელები, ფეხბურთელები და გულშემატკივრებიც დიდ მიზნებზე ფიქრობენ. ამიტომაც თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქუთაისს ფეხბურთი უბრუნდება.

იქაურებს ფეხბურთის სიყვარული არასოდეს განელებიათ, ახლა კი ფეხბურთის ფედერაციაც ეხმარებათ. ამასწინათ ჩვენი ფეხბურთის მამებმა ქუთაისში საქმიანი შეხვედრები გამართეს, მალე კი სულაც აღმასკომის მორიგ სხდომას იქ ჩაატარებენ. 4 აგვისტოს ქუთაისის გივი კილაძის სტადიონზე აღმასკომის გამსვლელი სხდომა მოეწყობა და ჩვენი ფეხბურთის ავ-კარგი გაირჩევა. ეს ყველაფერი 13 საათზე დაიწყება, მაგრამ ამით ღონისძიება არ მთავრდება: აღმასკომის სხდომის დაწყებიდან სამიოდ საათში მინდორზე ქალები გამოვლენ და ბურთაობას გააჩაღებენ — თბილისის „ავაზა“ და „ბათუმი“ ერთმანეთს საქართველოს თასს შეეცილებიან. 19 საათზე კი კაცების ჯერიც დადგება: გაზეთ „რეზონანსის“ მიერ მოწყობილ სუპერთასზე თითქმის უკვე ტრადიციული მატჩი შედგება — ერთმანეთს კვლავაც „დინამო“ და „ბათუმი“ შეეტოქებიან. ვნახოთ, იქნებ ამჯერად შეძლონ ბათუმელებმა და თბილისელებს ერთი ფინალი მაინც მოუგონ. მოკლედ, ორშაბათს ბევრი რამ გაირკვევა და ყველაფერთან ერთად თასების თასის გათამაშებისა თუ ახალი ჩემპიონატისთვის გამზადებულ-განახლებულ „ბათუმს“ ვიხილავთ.

## სიონი მზადებას შეუდგა

ქართული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გუნდების უმეტესობა ახალი სეზონის წინ მუდამ უსახსრობას უჩივის — არიქა გვიშველეთ, გვიჭირს, ვიშლებითო. მოახლოვდება ჩემპიონატი და თამაშს ყველა იწყებს, მაგრამ ზოგიერთი გუნდის შემყურე — ამათ სულაც არ ითამაშონ, ის სჯობსო — იტყვის კაცი. ახლაც ასეა, ლამის ყველა გუნდი შეიკრიბა და, ავად თუ კარგად, მზადებას შეუდგა. აქამდე ბოლნისელებისაგან არაფერი ისმოდა. თურმე, თავიანთი საქმე ჩუმად უკეთებიათ, ფინანსური პრობლემები მოუგვარებიათ და ათიოდ დღეა, ვარჯიშიც დაუწყია. კლუბის თავკაცობას სამი ახალწვეული შეუმატებია „სიონისთვის“. ბათუმიდან გადმოხვეწილი გოჩა ტრაპაიძე, რომელიც კარგა ხანია გუნდის ძიებაშია, „სიონში“ ჩარიცხულა. ბოლნისელებს აწ უკვე ყოფილი მარგველი მამუკა უკლებაც გადაუბირებიათ. ამათ ფრანგულ საფეხბურთო სკოლაში ნასწავლი და გერმანიაშემოვლილი გიორგი ჭანკვეტაძეც დამატებიათ. ახლა ბოლნისელები სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ მფარველობას ეძებენ, მაგრამ რატომღაც საქმე ჯანჯლდება. თუ ეს მოხერხდა, მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო — იქადნებიან სიონელები.

## ვინ სად?

წინა ჩემპიონატი ჩამთავრდა თუ არა, ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში მიმოსვლაც გაჩაღდა. ვიდრე განაცხადები საბოლოოდ არ დამტკიცდება, ვინ სად გადავიდა, ამას ეშმაკიც ვერ შეიტყობს. გუნდები ერთმანეთს მოთამაშეებს ედავებიან და არის ერთი ვაიუბედურება. საბოლოოდ ყველაფერი, ალბათ, 2 აგვისტოს გადაწყდება, როცა ფედერაციაში სატრანსფერო კომისია შეიკრიბება და ყველა სადაო საკითხს განიხილავს. მოკლედ, შაბათს ფეხბურთის ფედერაციაში დიდი ამბებია მოსალოდნელი.

## საკონტროლო თამაშები

გურია — ლოკომოტივი 1:0, ოდიში — გურია 3:1, გურია — სამტრედია 6:0, ოლიმპია — სამტრედია 6:1, სამგურალი — ასკ 2:2, 4:2, სამგურალი — მარგვეთი 2:0, ოდიში — ასკ 3:1

## ფეხბურთის რუკასთან



გვატემალის სტადიონზე შარშან ჭყლეტაში დაღუპული 78 ადამიანის ოჯახმა ფიფასგან 6 500 დოლარი მიიღო. ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჯეკ უორნერმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ორგანიზაციას, რომელსაც ის წარმოადგენს, საფეხბურთო ტრაგედიები ზარავს, მაგრამ ვინაიდან ისინი მაინც ხდება, ფიფა ვალდებულია მსხვერპლთა ოჯახებს დაეხმაროს.

**ბრიტანელმა პარლამენტარმა სტვენ ტორიმ საკუთარ ხელისუფლებას მოუწოდა ფიფაზე ზემოქმედება, რათა ამ ორგანიზაციამ თავისი რიგებიდან გარიცხოს ერაყი. მიზეზი: მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ყაზახეთთან 1:3 წაგების გამო, სადამ ჰუსეინის ვაჟმა უდაიმ ნაკრების ფეხბურთელები აწამებინა. ამაზრზენი ამბავი რადვანიას სამხედრო ბაზაზე მოხდა. ფეხბურთელებს ფეხის გულებსა და ზურგზე როზგები ურტყეს, შემდეგ კი განუსაზღვრელი ვადით პატიმრობა აღუთქვეს. საინტერესოა, რომ მათ თავებიც გადაპარსეს და ულვაშებიც. ეს ცნობა მსოფლიოს ერაყელმა დისიდენტებმა მოსდეს.**

არგენტინელმა ფეხბურთელებმა ქვეყნის პრეზიდენტის, კარლოს მენემის თხოვნას ყური არ უგდეს და გაფიცვას აგრძელებენ. შეგახსენებთ, რომ გაფიცვის მიზეზია გუნდი „დეპორტივო ესპანიოლი“, რომელმაც ექვსი კონტრაქტგალეული ფეხბურთელი არ გაანთავისუფლა.

**ინგლისელი გრემ ლე სოს ყიდვა ლონდონის „არსენალს“ ისე უნდოდა, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში არ მოასვენა „ბლექბერნი“. და აი, „არსენალმა“ საწადელს მიაღწია: ლე სო 7,5 მილიონ გირვანქად ტრანსფერზეა წარდგენილი. „მეთოფეთა“ ფრანგ მწვრთნელ არსენ ვენგერს 28 წლის ფეხბურთელი 33 წლის ნაიჯელ ვინთერბერნის შემცვლელად ესახება, აი, ალან შირერი კი ტრავმის მიუხედავად ბუკმეიკერთა ყურადღების ცენტრშია. ცნობილ ტოტალიზატორ „უილიამ ჰილს“ მომავალ სეზონში მისი ბომბარდირობის ფსონი 10-1 აქვს. ტოტენჰემელი ლეს ფერდინანდის ფსონია 6-1, ლივერპულელი რობი ფაულერის 5-2, „ნიუკასლის“ ახალწვეულის, იან ტომასონისა კი — 10-1.**

დანიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ალან ოლსენი ნარკოტიკებით ვაჭრობაში ამხილეს. იგი ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად დააკავეს. პოლიციის ცნობით, ის და კი-დევიდ რასმუსენი ჰეროინს ყიდდნენ. მათ 30 ათას დოლარის აკრძალული საქონელი აღმოუჩინეს.

**პორტუგალიელი თავდამსხმელი დომინგუში ესპანურ „ტენერიფეში“ გადადის. 28 წლის დომინგუში, რომელიც გასულ სეზონში ტრავმის გამო კარგა ხანს არ თამაშობდა, ოთხწლიანი კონტრაქტისთვის ემზადება.**

ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, მეკარე პიტერ შილტონი „მიდლსბროში“ იწყებს მუშაობას. იგი მეკარეთა მწვრთნელობას გასწევს „ნოტინგემში“ წასული მაიკ კელის ნაცვლად.

**ჩილელი ფეხბურთელი დანტე პოლი ინგლისს ჩაფრინდა, რათა „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოწყობა სცადოს. 22 წლის ცენტრალური მცველი იმედოვნებს, რომ მანჩესტერელთა მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს თავს მოაწონებს. „იუნაიტედი“ კი ამასობაში ბრაზილიურ „კორინთიანსს“ სილვაში 6,5 მილიონი დოლარის გადახდას დაყაბულდა. პრობლემა ერთია, სილვას ნაკრებში მხოლოდ 6 თამაში აქვს ჩატარებული, რამაც შეიძლება ბრიტანულ კანონებთან წინააღმდეგობა წარმოშვას.**

ფრანგი კრისტიან კარემბუ თავის კლუბ „სამპდორიას“ ინგლისურ ტურნეში ვერ გაჰყვება. საერთოდაც, რაც „რეალში“ გადასვლა აიჩემა, მას მერე იტალიელებმა იგი გუნდიდან პრაქტიკულად მოკვეთეს, ერთი ამხანაგურიც არ ათამაშეს. ამრიგად, სანამ „სამპდორია“ და „რეალი“ ფასზე შეთანხმდებიან, კარემბუ შეიძლება ფეხბურთის თამაშს გადაეჩვიოს კიდეც.

**ბულგარელი [illegible] ორი წლით, 600 ათასი დოლარად, მარსელის „ოლიმპიკიდან“ თურქულ „ბეშიქთაშში“ გადავიდა. „ჩემს გადაწყვეტილებაზე იმან იმოქმედა, რომ „ბეშიქთაში“ წლეულს ჩემპიონთა თასზე გამოვა“ — თქვა ფეხბურთელმა.**

რუსეთის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა თავიანთ საუკეთესო მსაჯს, ნიკოლაი ლევნიკოვს აპატიეს და მთელ სეზონიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნეს. ლევნიკოვმა მიმდინარე სეზონში ორი უხეში შეცდომა დაუშვა, რის გამოც დასჯილი იყო, მაგრამ აგვისტოდან მოღვაწეობას განაგრძობს.

**ინგლისელი კომპოზიტორი მაიკ ბეტი გერმანიის ნაკრებისთვის ახალ ჰიმნს წერს, კომპოზიტორს კი ეს საქმე გერმანელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა სთხოვა. 46 წლის ინგლისელი ჰიმნს სექტემბრამდე მორჩება, რათა გერმანელებმა იგი რუმინეთთან მატჩის წინ დაუკრან. „ძალიან გავოცდი, როდესაც ინგლისელთა მეტოქისგან ასეთი წინადადება მივიღე, მაგრამ ამ უხერხულობამ ხუთ წუთში გამიარა“ — თქვა ბეტიმ.**

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა კარლტონ პალმერმა პაბში გოგონა შეურაცხჰყო, რისთვისაც ახლა სასამართლოში აქვს საქმე. როგორც 18 წლის მოსარჩლე ამბობს, პალმერმა მას ფეხებშუა სტაცა ხელი. პალმერი ყველაფერს უარჰყოფს. ეს ამბავი ლიდსში მოხდა. პაბი უკვე იკეტებოდა, პალმერი კი იან რაშთან და როდ უოლესთან ერთად თვრებოდა. გოგონა იხსენებს, რომ იგი უოლესს ესაუბრებოდა, როდესაც დამნაშავემ უხეშად ჰკითხა, შენ რაღა გაწუხებსო. შემდეგ ფეხბურთელს ჯიბიდან ტელეფონი ამოუღია და გოგონასთვის უთქვამს, მიდი ჩემს ცოლს დაურეკე და უთხარი, რომ სახლში ერთი კვირა ვერ მივალო. ამის მერე მთვრალს ხელი პირდაპირ ფეხებშუა გაუქანებია. გოგონამ პალმერს ხელი ჰკრა და, თავი გამანებეო, მიაძახა.

**ჩინური წყაროების თანახმად, ამ ქვეყნის ნაკრები აგვისტოს 11-დან 21-მდე ინგლისში ივარჯიშებს. ცნობილია, რომ ჩინელებს სპარინგ-პარტნიორობას რომელიღაც სამი ინგლისური გუნდი გაუწევს. მათ გარდა, ჩინელებს დაგეგმილი აქვთ ამხანაგური შეხვედრები ყაზახეთთან, საემიროებთან და კამერუნთან, ოფიციალური, მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი კი 13 სექტემბერს ირანთან ელით.**

ბრაზილიის პრეზიდენტმა ფერნანდუ ენრიკე კარდოსუმ გადაწყვიტა, პორტუგალიურენოვანი ქვეყნების მონაწილეობით საფეხბურთო ტურნირი გამართოს. ტურნირი 2000 წელს ჩატარდება და პორტუგალიელი მეზღვაურის, კაბრალის მიერ ბრაზილიის აღმოჩენას მიეძღვნება.

**მალის ნაკრების მწვრთნელი მოხსნა. მიზეზი ის გახლავთ, რომ გუნდი აფრიკის თასის ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩა — სპილოს ძვლის ნაპირთან 2:4 წააგო. მოხსნილმა მწვრთნელმა მამადუ კეიტამ მალი 1994 წელს ამ შეჯიბრების ნახევარფინალში გაიყვანა.**

ინგლისის „ლივერპული“ და დორტმუნდის „ბორუსია“ შეთანხმდნენ რიდლეს პრემიერლიგაში გადასვლის თაობაზე. გერმანელთა წარმომადგენელმა იოზეფ შნიეკმა განაცხადა, კარლ-ჰაინცი უახლოეს დღეებში ლივერპულელებთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს 2 მილიონ 400 ათასი დოლარის სანაცვლოდ. ტრანსფერს დორტმუნდელთა ახალმა მწვრთნელმა, იტალიელმა ნევიო სკალამაც დაუჭირა მხარი. სხვა წყაროების ცნობით, რიდლეზე „ნიუკასლიც“ ნადირობდა.

**ესპანური გაზეთების ცნობით ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი დენილსონი „ბარსელონაში“ გადადის. ამის თაობაზე „ბარსა“ და „სან პაულუ“ უკვე მოლაპარაკებულან. ამბობენ, რომ სატრანსფერო თანხა 13,3 მილიონი დოლარი იქნება. დენილსონი ამასწინანდელი „კოპა ამერიკას“ ერთ-ერთი ვარსკვლავი გახლდათ.**

გერმანია

# ბუნდესლიგა იწყება

მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატია. ცხადია, სასწაული უნდა მოხდეს, გერმანიის ნაკრები 32 უძლიერესთა მიღმა დარჩეს და ამიტომ, ხვალ ორი მატჩით დაწყებული ბუნდესლიგის მორიგი სეზონი ჩვეულებრივზე ადრე, 9 მაისს დამთავრდება. გერმანელთათვის ამ ავადსახსენებელ დღეს რომელიღაც გუნდში დიდ ზარ-ზეიმსაც მოაწყობენ.

სხვა სამ გუნდთან ერთად ხვალ სეზონს თბილისის „დინამოს" მომავალი მეტოქე ლევერკუზენის „ბაიერიც" ხსნის. ამ გუნდზე მომავალ ნომრებში ვისაუბროთ, დღეს კი იმაზე ვთქვათ, რაზეც ახლა ბევრს ლაპარაკობენ: ბუნდესლიგაში მეორე იტალიელი მწვრთნელიც გამოჩნდა.

იტალიელი ნევიო სკალა კვირას ბუნდესლიგაში მოინათლება. მისი ამოცანა ურთულესია: დორტმუნდის „ბორუსია", რომლის გაძღოლაც ითავა, ჩემპიონთა თასის მფლობელია და დიდი ამბიცია გააჩნია. ამიტომაც არაა გამორიცხული, რომ სულ მცირე წაბორძიკება იტალიელს გვარიან კრიტიკად დაუჯდეს.

არის კიდევ ერთი საკითხი. ბუნდესლიგაში მუშაობს სკალას თანამემამულე, ცნობილი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, რომელმაც გასულ სეზონში მიუნხენის „ბაიერნს" ჩემპიონობა მოაპოვებინა. აქამდე ტრაპატონი ერთადერთი იტალიელი სპეციალისტი იყო გერმანელთა ქვეყანაში, ახლა კი ისინი ორნი არიან და კონკურენტებს უდგანან სათავეში. ეს იმას ნიშნავს, რომ სკალას დიდ მაესტროსთან დაპირისპირება არ ასცდება.

სკალა დორტმუნდში იტალიური „პერუჯადან" გადავიდა. „პერუჯას" მან ვერ უშველა, გუნდი სერია B-ში გავარდა. მართალია საქმეს შუა სეზონში მოჰკიდა ხელი, მაგრამ გავარდნა გავარდნაა — მწვრთნელის ფიასკო. „დორტმუნდში" კი ის ალბათ ბევრ რამეს შეცვლის. პირველი სიახლე წინამორბედის, ოტმარ ჰიცფელდის კლუბის სპორტულ დირექტორად დანიშვნა გახლდათ. შეგახსენებთ: ჰიცფელდმა „დორტმუნდს" ორჯერ მოაგებინა ბუნდესლიგის პირველობა, ბოლოს კი ჩემპიონთა თასიც დაისაკუთრა.

— ორგზის ჩემპიონობა და ჩემპიონთა თასი ცუდი შედეგი არაა — ამბობს სკალა, რომლის გუნდებსაც რომელიმე ქვეყნის ტიტული არასდროს მოუპოვებიათ, თუმცა „პარმას" უეფას და თასების თასი აალებინა — იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი სეზონიც ძველსავით წარმატებული იქნება. ჩემი აზრით, ბუნდესლიგის ოქროსთვის სამი-ოთხი ძლიერი გუნდი იბრძოლებს და ერთი მათგანი ჩვენ ვართ.

სკალას ამასწინანდელი ლიგის თასის ნახევარფინალში ტრაპატონის „ბაიერნთან" 0:2 წაგება გულთან ახლოს არ მიუტანია: ცხადია, მოგება უნდა გვეცადა, მაგრამ რაც მოხდა, არც ისაა ტრაგედია — სეზონი ხომ სინამდვილეში ჯერ არ დაწყებულა.

სკალას გერმანელი მეუღლე ჰყავს და ჩინებულად ფლობს მის მშობლიურ ენას. „დორტმუნდში" მას ძლიერი ფეხბურთელები დახვდნენ: მათიას ზამერი, ანდრეას მიოლერი, კარლ-ჰაინც რიდლე. ფეხბურთელებიც, რომლებიც ტრავმების გამო კარგა ხანს არ ჩანდნენ, ახლა ჯანზე არიან. აქ უპირატესად, პორტუგალიელ პაულუ სოუზასა და ბრაზილიელ ჟულიო სეზარს ვგულისხმობთ.

— „დორტმუნდი" ტალანტებით სავსე, კარგად ორგანიზებული გუნდია. მე მისგან ლამაზი ფეხბურთის ხილვა მსურს და მჯერა, რომ ვნახავ კიდეც — ამბობს სკალა. კვირას მისი გუნდი ბუნდესლიგაში წლეულს აღზევებულ ბერლინის „ჰერტას" სტუმრობს.

ზემო ცხრილში მოცემულია ამ ზაფხულს ბუნდესლიგის გუნდებში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ტრანსფერი. აქვე განვმარტავთ, რომ თანხები ჩვენთვის ყველაზე გასაგებ, ამერიკულ დოლარებშია მოცემული.

რაც შეეხება ჩემპიონატის კალენდარს, აქ ორი რამაა სათქმელი: პირველი წრის განრიგი უკვე ზუსტად, ანუ დღეების მიხედვითაა შედგენილი (ვინ პარასკევს თამაშობს, ვინ შაბათს და ვინ კვირას), მეორე წრის კი მხოლოდ ტურის ცენტრალური დღეა (უმთავრესად შაბათი) მოცემული. და კიდევ — იანვრიდან მაისამდე მითითებული თარიღები, ცხადია, 1998 წელს განეკუთვნება.

### ბაიერნი მიუნხენი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ჯოვანი ელბერი | შტუტგარტი | 6,9 მილიონი |
| | ბიქსენტ ლისარასუ | ბილბაოს ატლეტიკო | 6,3 მილიონი |
| | მიხაელ ტარნატი | კარლსრუე | 2,6 მილიონი |
| | ტორსტენ ფინკი | კარლსრუე | 3 მილიონი |
| | დენის გრასოვი | უნტერჰახინგი | მუქთი |
| წავიდა: | იურგენ კლინსმანი | სამპდორია | მუქთი |
| | კრისტიან ციგე | მილანი | 5,9 მილიონი |
| | ოლივერ კროიცერი | ბაზელი | 440 ათასი |
| | მარსელ ვიტეჩეკი | მიონხენგლადბახი | მუქთი |

### ბაიერი ლევერკუზენი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | დირკ ლოტნერი | კიოლნის ფორტუნა | 275 ათასი |
| | შტეფან ბაინლიხი | ჰანზა | 3,63 მილიონი |
| | ემერსონი | გრემიო | 4,4 მილიონი |
| | იორგ შმადტკე | ფრაიბურგი | მუქთი |
| წავიდა: | პაულუ სერჟიო | რომა | 3,8 მილიონი |
| | მაიკ რიტპიჩი | დიუსელდორფი | მუქთი |
| | ლარს ლეესი | ბარნსლი | 417 ათასი |
| | ზე ელიასი | მილანის ინტერი | 5,9 მილიონი |

### ბორუსია დორტმუნდი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სკოტ ბუთი | აბერდინი | მუქთი |
| წავიდა: | რენე ტრეჩოკი | კიოლნი | 715 ათასი |

### შტუტგარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ჯონათან აკპობორი | ჰანზა | 3,85 მილიონი |
| | მურატ იაკინი | გრასჰოპერი | 3,57 მილიონი |
| | მარტინ შპანრინგი | ფრაიბურგი | მუქთი |
| | მათიას ბეკერი | აინტრახტი | მუქთი |
| წავიდა: | ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | 6,9 მილიონი |
| | რადოსლავ გილევიცი | კარლსრუე | 990 ათასი |
| | ანდრეას ბუკი | კაიზერსლაუტერნი | 440 ათასი |
| | ჰენდრიკ ჰერცოგი | ჰერტა | 275 ათასი |
| | სებასტიან ფურნიე | სერვეტი | 385 ათასი |
| | მარიო მარიჩი | ვალდჰოფი | მუქთი |

### ბოხუმი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სერგეი იურანი | დიუსელდორფი | 1,1 მილიონი |
| | მირკო დიკჰაუტი | აინტრახტი | 83 ათასი |
| | აქსელ სუნდერმანი | ფრაიბურგი | მუქთი |
| | მირკო რაიხელი | ვალდჰოფი | მუქთი |
| წავიდა: | ფილიპ ტაპალოვიჩი | შალკე 04 | მუქთი |
| | მათიას იაკი | დიუსელდორფი | 165 ათასი |
| | ტორდურ გუდიონსონი | გენტი | მუქთი |

### კარლსრუე

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ალექსანდერ ნიარკო | ბაზელი | 1,38 მილიონი |
| | გიუნტერ შეპენსი | ლიეჟის სტანდარდი | 1,32 მილიონი |
| | რადოსლავ გილევიცი | შტუტგარტი | 990 ათასი |
| | დავიდ რეჟი | ლანსი | 495 ათასი |
| წავიდა: | მიხაელ ტარნატი | ბაიერნი | 2,64 მილიონი |
| | ტორსტენ ფინკი | ბაიერნი | 3 მილიონი |
| | დირკ შუსტერი | კიოლნი | 550 ათასი |
| | ებერჰარდ კარლი | შტუტგარტერ კიკერსი | 83 ათასი |

### მიუნხენ 1860

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | დანიელ ჰოფმანი | ჰანზა | მუქთი |
| | პოლ აგოსტინო | ბრისტოლ სიტი | მუქთი |
| | ჰოლგერ ფახი | დიუსელდორფი | 83 ათასი |
| | იოხენ კინცი | ლოგრონიესი | 275 ათასი |
| | ანდრე ჰოფშნაიდერი | ჰანზა | მუქთი |
| | შტეფან მალცი | მანჰაიმი | 55 ათასი |
| | ხრისტო იოვოვი | სოფიის ლევსკი | 275 ათასი |
| წავიდა: | რაინერ ბერგი | ნიურნბერგი | მუქთი |
| | ალექს კუჩერა | აინტრახტი | 165 ათასი |
| | ბერნარ ტრარი | ვერდერი | მუქთი |

### ვერდერი ბრემენი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სვენ ბენკენი | კოტბუსის ენერგი | 440 ათასი |
| | რაფაელ ვიკი | სიონი | 1,2 მილიონი |
| | ბერნარ ტრარი | მიუნხენ 1860 | მუქთი |
| | დიტერ ფრაი | ფრაიბურგი | მუქთი |
| წავიდა: | ბერნდ ჰობში | რენი | უცნობია |

### დუისბურგი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | სლობოდან კომლენოვიჩი | აინტრახტი | მუქთი |
| | უვე შპისი | ფრაიბურგი | მუქთი |
| | იორგ ნოინი | მიონხენგლადბახი | მუქთი |
| წავიდა: | ალფრედ ნიაჰუსი | ურავა რედ დაიმონდსი | 825 ათასი |
| | დირკ ანდერსი | ფიურტი | 110 ათასი |

### კიოლნი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | რენე ტრეჩოკი | დორტმუნდი | 715 ათასი |
| | დირკ შუსტერი | კარლსრუე | 550 ათასი |
| | ანდრეას მენგერი | ფიურტი | 55 ათასი |
| | საშა რიჟკოვი | ლანსი | უცნობია |
| წავიდა: | მარტინ ბრაუნი | ვენის რაპიდი | 10 ათასი |
| | ანტონიო ანანლევი | ლაიპციგი | მუქთი |
| | სანდი ოლისე | აიაქსი | 3,85 მილიონი |
| | რიკო შტაინმანი | ტვენტე | მუქთი |
| | პატრიკ ვაისერი | ბასტია | უცნობია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბორუსია მიონხენგლადბახი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | მარსელ ვიტეჩეკი | ბაიერნი | მუქთი |
| | მორტენ პედერსენი | ბრანი | 165 ათასი |
| წავიდა: | იორგ ნოინი | დუისბურგი | მუქთი |
| | დირკ ვოლფი | აინტრახტი | მუქთი |
| | დემიან მორი | ადელაიდა სიტი | მუქთი |
| | პეტერ ნილსენი | კოპენჰაგენი | მუქთი |

### შალკე 04 გელზენკირხენი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ფილიპ ტაპალოვიჩი | ბოხუმი | მუქთი |
| | დენის კლიუევი | ფეიენოორდი | 660 ათასი |
| | რენე აიკელკამპი | ეინდჰოვენი | მუქთი |
| წავიდა: | ტომ დული | კოლუმბუსი | მუქთი |

### ჰამბურგი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ანდრეას ცაიერი | ფრაიბურგი | მუქთი |
| | თომას ფოგელი | ფრაიბურგი | მუქთი |
| | იაცეკ დემბინსკი | ვიძევი | 600 ათასი |
| | შტეფან ბოგერი | გიუტერსლოო | 330 ათასი |
| | ალან იეპსენი | ორჰუსი | მუქთი |
| | მიხაელ მოლატა | არმინია | 385 ათასი |
| წავიდა: | იურგენ ჰარტმანი | ბაზელი | მუქთი |
| | მარიან კოვაჩევიჩი | ვოლფსბურგი | მუქთი |
| | სტეფან ენჩოსი | ბლექბერნი | 4,4 მილიონი |
| | ჰოლგერ ჰირმანი | ვოლფსბურგი | მუქთი |
| | იენს დოვე | ჰანზა | 825 ათასი |
| | მარკუს შუპი | გრაცის შტურმი | 110 ათასი |
| | მაიკლ მეისონი | ზანქტ პაული | 550 ათასი |

### არმინია ბილეფელდი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ალი დაეი | დოჰა | უცნობია |
| | ქარიმ ბელერი | თეირანი | უცნობია |
| | მიხაელ შტერნკოპფი | ფრაიბურგი | მუქთი |
| | ბერნდ ელგნერი | ზანქტ პაული | მუქთი |
| | ჰაიდენ ფოუქსი | კანბერა | მუქთი |
| | დეიან მილოშევიჩი | კანბერა კოსმოსი | მუქთი |
| წავიდა: | მიხაელ მოლატა | ჰამბურგი | 385 ათასი |
| | ფრიც ვალტერი | ულმი | მუქთი |
| | უვე ფუხსი | ოფი კრეტა | მუქთი |

### ჰანზა როსტოკი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | იენს დოვე | ჰამბურგი | 825 ათასი |
| | სლავომირ მაიაკი | ვიძევი | 750 ათასი |
| | ბორისლავ ტომოსკი | აუე | 83 ათასი |
| | რალფ ევენი | პადერბორნი | 55 ათასი |
| წავიდა: | ანდრე ჰოფშნაიდერი | მიუნხენ 1860 | მუქთი |
| | შტეფან ბაინლიხი | ლევერკუზენი | 3,63 მილიონი |
| | ჯონათან აკპობორი | შტუტგარტი | 3,85 მილიონი |

### კაიზერსლაუტერნი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ანდრეას ბუკი | შტუტგარტი | 495 ათასი |
| | მარიან ხრისტოვი | სოფიის ლევსკი | 1,32 მილიონი |
| | მიხაელ ბალაკი | ხემნიცი | 55 ათასი |
| | პიოტრ კოუბა | ლა კორუნია | 600 ათასი |
| | ჩირიაკო სფორცა | მილანის ინტერი | 4,1 მილიონი |
| წავიდა: | უვე ვეგმანი | ლუგანო | 110 ათასი |
| | მათიას კელერი | მეპენი | 44 ათასი |

### ვოლფსბურგი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ანდრეას ვინკლერი | ლიუბეკი | მუქთი |
| წავიდა: | პეტარ მიხტარსკი | სოფიის ცსკა | მუქთი |
| | მიხაელ ბუტრეი | ლიუბეკი | მუქთი |

### ჰერტა ბერლინი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოვიდა: | ბრაიან როი | ნოტინგემი | 2,2 მილიონი |
| | დიკ ვან ბურიკი | უტრეხტი | 495 ათასი |
| | ხეტილ რეკდალი | რენი | 550 ათასი |
| | ჰენდრიკ ჰერცოგი | შტუტგარტი | 275 ათასი |
| | სერგეი მანდრეკო | ვენის რაპიდი | მუქთი |
| | გაბორ კირალი | სომბათჰეი | 138 ათასი |
| წავიდა: | იენს ადლერი | ჰალე | მუქთი |

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არმინია | | 18.04 | 06.12 | 04.10 | 07.03 | 23.08 | 04.04 | 21.03 | 20.12 | 02.05 | 20.09 | 19.10 | 07.02 | 29.11 | 05.08 | 31.10 | 12.09 | 19.11 |
| 2 | ბაიერნი | 08.11 | | 14.03 | 09.05 | 22.11 | 25.10 | 09.08 | 02.08 | 28.03 | 28.02 | 25.04 | 13.12 | 11.04 | 26.09 | 15.10 | 31.01 | 07.02 | 13.09 |
| 3 | ბოხუმი | 02.08 | 04.10 | | 31.01 | 08.08 | 21.11 | 20.09 | 29.08 | 25.04 | 17.10 | 13.12 | 14.02 | 09.05 | 04.04 | 09.11 | 07.03 | 11.04 | 21.03 |
| 4 | დორტმუნდი | 14.03 | 28.11 | 23.08 | | 28.03 | 28.02 | 18.11 | 31.10 | 13.09 | 06.08 | 14.10 | 18.04 | 27.09 | 20.12 | 07.02 | 02.05 | 25.10 | 06.12 |
| 5 | დუისბურგი | 28.09 | 02.05 | 20.12 | 18.10 | | 13.09 | 18.04 | 04.04 | 07.02 | 06.12 | 14.03 | 02.11 | 28.02 | 05.08 | 23.08 | 18.11 | 15.10 | 28.11 |
| 6 | ვერდერი | 31.01 | 04.04 | 02.05 | 20.09 | 14.02 | | 21.03 | 07.03 | 06.12 | 18.04 | 30.08 | 03.10 | 09.08 | 18.11 | 29.11 | 17.10 | 05.08 | 01.11 |
| 7 | ვოლფსბურგი | 25.10 | 20.12 | 28.02 | 25.04 | 07.11 | 14.10 | | 22.11 | 14.03 | 07.02 | 11.04 | 09.05 | 28.03 | 13.09 | 27.09 | 06.08 | 06.12 | 22.08 |
| 8 | კაიზერსლაუტერნი | 15.10 | 06.12 | 07.02 | 11.04 | 24.10 | 27.09 | 02.05 | | 28.02 | 20.12 | 28.03 | 25.04 | 14.03 | 23.08 | 14.09 | 29.11 | 07.11 | 06.08 |
| 9 | კარლსრუე | 09.08 | 18.10 | 18.11 | 14.02 | 31.08 | 02.08 | 04.10 | 19.09 | | 01.11 | 31.01 | 07.03 | 13.12 | 18.04 | 02.05 | 21.03 | 28.11 | 04.04 |
| 10 | კიოლნი | 22.11 | 20.09 | 28.03 | 13.12 | 02.08 | 08.11 | 30.08 | 09.08 | 11.04 | | 09.05 | 31.01 | 25.04 | 14.10 | 26.10 | 14.02 | 14.03 | 07.03 |
| 11 | ლევერკუზენი | 28.02 | 19.11 | 05.08 | 21.03 | 04.10 | 07.02 | 31.10 | 18.10 | 23.08 | 28.11 | | 04.04 | 13.09 | 06.12 | 20.12 | 18.04 | 27.09 | 02.05 |
| 12 | მიონხენგლადბახი | 28.03 | 06.08 | 13.09 | 08.11 | 11.04 | 14.03 | 29.11 | 19.11 | 27.09 | 23.08 | 25.10 | | 15.10 | 07.02 | 28.02 | 06.12 | 02.05 | 20.12 |
| 13 | მიუნხენ 1860 | 30.08 | 01.11 | 29.11 | 07.03 | 19.09 | 20.12 | 18.10 | 03.10 | 05.08 | 19.11 | 14.02 | 21.03 | | 02.05 | 06.12 | 04.04 | 22.08 | 18.04 |
| 14 | შალკე 04 | 09.05 | 07.03 | 24.10 | 09.08 | 13.12 | 25.04 | 14.02 | 31.01 | 08.11 | 21.03 | 01.08 | 30.08 | 22.11 | | 11.04 | 20.09 | 28.03 | 04.10 |
| 15 | შტუტგარტი | 13.12 | 21.03 | 18.04 | 30.08 | 31.01 | 09.05 | 07.03 | 14.02 | 22.11 | 04.04 | 08.08 | 21.09 | 02.08 | 01.11 | | 05.10 | 19.11 | 18.10 |
| 16 | ჰამბურგი | 11.04 | 24.08 | 27.09 | 21.11 | 25.04 | 28.03 | 13.12 | 09.05 | 14.10 | 12.09 | 08.11 | 03.08 | 25.10 | 28.02 | 14.03 | | 20.12 | 07.02 |
| 17 | ჰანზა | 14.02 | 30.08 | 01.11 | 04.04 | 21.03 | 13.12 | 02.08 | 18.04 | 09.05 | 04.10 | 07.03 | 23.11 | 31.01 | 18.10 | 25.04 | 09.08 | | 20.09 |
| 18 | ჰერტა | 25.04 | 14.02 | 14.10 | 03.08 | 09.05 | 11.04 | 31.01 | 13.12 | 25.10 | 26.09 | 22.11 | 10.08 | 08.11 | 14.03 | 28.03 | 29.08 | 28.02 | |

# იტალიური ზაფხული

ვინაც გუნდი უყვარს, ის აბონემენტს იყიდის — რომაელებს სეზონური ბილეთების შეძენისკენ „ლაციოს" ვარსკვლავმა ჯუზეპე სინიორიმ მოუწოდა.

კლუბის პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ ფეხბურთელების გაყიდვით 8,5 მილიონი დოლარი კი იშოვნა, მაგრამ ახლების მოზიდვას ორჯერ მეტი დაახარჯა. განახლებული გუნდის მოლოდინში აბონემენტები თითქმის ელვის სისწრაფით უნდა გასაღებულიყო. სინამდვილეში პირიქით მოხდა: გამოშვებული 40 ათასიდან სადღეისოდ მხოლოდ 23 ათასია გაყიდული.

— კრანიოტის მოწადინებამ აშკარად ვერ გამოიღო შედეგი. ქომაგები უპირველესად შედეგებს ელიან და სეზონურ ბილეთებს მათ მიხედვით შეიძენენ. ვფიქრობ, ეს ჩვევა უნდა შეცვალონ. სეზონისწინა ამხანაგურ თამაშებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. დროა გულშემატკივრებმა ერთგულების გამოხატვა დაიწყონ. საამისოდ მათ ეხლავე უნდა იყიდონ ბილეთები. გუნდი აშკარად ძლიერი გვყავს, მაშ რაღას ელიან? — იკითხა სინიორიმ.

„ლაციოს" აბონემენტები, დოლარებში რომ ვთქვათ, 170-დან 4 ათასამდე ღირს. ეს თანხა, ერთი შეხედვით, შესაძლოა შემაშინებლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ იტალიის კვალობაზე არა უშავს.

— ყოველ თამაშზე ახალი ბილეთის ყიდვა გაცილებით ძვირია — განაგრძო სინიორიმ — ვიმეორებ, ექვსი სეზონია „ლაციოში" ვთამაშობ და ტექნიკურად ასე ძლიერი გუნდი ჯერ არ გვყოლია. აშკარად შეგვწევს ძალა იტალიის ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლოთ და ქვეყნისა და უეფას თასებისთვისაც, საამისოდ კი ქომაგთა თანადგომა აუცილებელია.

დიახ, „ლაციო" მართლაც გაძლიერდა. მას ახალი მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიქსონი ჰყავს. ახალი ფეხბურთელები კი არიან რობერტო მანჩინი, ალენ ბოკშიჩი და ვლადიმირ იუგოვიჩი. მოგეხსენებათ, პირველი ერიქსონთან ერთად რომის გუნდში „სამპდორიიდან" გადავიდა, დანარჩენი ორი კი „იუვენტუსიდან" მივიდნენ.

სანამ „ლაციო" აბონემენტების გაყიდვაზე ზრუნავს, „ნაპოლი" მშობლიური ქალაქიდან მიდის. იტალიაში სტადიონები ხომ ქალაქთა საბჭოებს ეკუთვნის, ხოლო კლუბები მათ ქირაობენ. ამიტომაც მერიებსა და კლუბებს შორის დავა-კამათი ხშირია. „ნაპოლის" შეფმა ჯანმარკო ინოჩენტიმ, რომელიც მეპატრონის კორადო ფერლაინოს ნაცვლად განაგებს გუნდის საქმეებს, პრესას განუცხადა, რომ ისინი 50 კილომეტრით მოშორებულ ქალაქ აველინოში გადადიან. საკუთრივ აველინოს გუნდი სერია C-ში გამოდის, სტადიონზე კი 35 ათასი ეტევა. ეს მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატისთვის განახლებული ნეაპოლის „სან პაოლოს" სტადიონის ტევადობის ლამის ნახევარია.

— „აველინოს" პრეზიდენტ ანტონიო სიბილიასთან უკვე გავაფორმე ხელშეკრულება — თქვა ინოჩენტიმ და კოლეგას გულისხმიერებისთვის დიდი მადლობა უძღვნა. ეს ხელშეკრულება ერთწლიანი ყოფილა.

ახლა „ნაპოლისა" და ქალაქ ნეაპოლის საბჭოს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მიზეზი ვახსენოთ. ის მარტივია: საბჭომ გადასახადი გაზარდა და სარეკლამო საქმიანობის წილშიც მოუნდა ხელის ფათური. ინოჩენტი ამბობს, რომ ზარალს, რომელსაც მერია ნახავს, აუცილებლად აანაზღაურებს. და მაინც, ასე ურჩევნია. და ისევ აბონემენტები:

— ამჯერად ერთადერთი საწუხარი გვაქვს — როგორ ვატაროთ სეზონური ბილეთების მფლობელი ნეაპოლელები აველინოში.

„ნაპოლის" პირველი თამაში 21 აგვისტოს „პარმას" წინააღმდეგ უწევს.

ჰო, ასეთი თამამი ნაბიჯის გადადგმა გასულ სეზონში თვით „იუვენტუსმაც" ვერ გაბედა. ხომ გახსოვთ, ტურინელებსაც ჰქონდათ თავიანთი ქალაქის საბჭოსთან მსგავსი პრობლემა. „ნაპოლის" ბოსის თამამი ნაბიჯი ფეხბურთელებსა და მერიის მოხელეებს არ მოეწონათ.

— ჩვენ, ქალაქის საბჭო, ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა სირთულე ყველა მხარის სასარგებლოდ მოვაგვაროთ. ისიც აღსანიშნავია, რომ დღევანდელ სიტუაციაშიც შეიძლება გუნდის თამაშები ძველებურად „სან პაოლოზე" გაიმართოს. მე არ მსიამოვნებს ატეხილი განგაში — ბრძანა ნეაპოლის მერმა რიკარდო მარონემ. ფეხბურთელების აზრი კი მეკარე ჯუზეპე ტალიალატელამ გამოხატა:

— „ნაპოლი" „სან პაოლოს" გარეშე ვერ წარმომიდგენია. ქალაქისა და მისი გუნდის დაცალკევება არ შეიძლება. იმედი მაქვს, რომ დაპირისპირებულნი დასხდებიან და გამოსავალს იპოვნიან, რადგან ორივე მხარეს ერთი რამ სჭირდება — „ნაპოლის" „სან პაოლოზე" თამაში.

ჟურნალისტები სხვა მოთამაშეებსაც დაეკითხნენ.

რაფაელე ლონგო: აველინოს სტადიონი სულ რომ გაივსოს, იქ მაინც სხვა ატმოსფერო იქნება.

მასიმილიანო ესპოზიტო: განკიცხულივით ვიგრძნობ თავს. „სან პაოლოს" თბილ ატმოსფეროს არაფერი შეედრება. აქედან გადასვლით ჩვენც დასჯილები აღმოვჩნდებით და გულშემატკივრებიც.

მწვრთნელი ბორტოლო მუტი: საქმის დეტალები არ ვიცი და ამიტომ ვერაფერს გეტყვით გარდა ერთისა — „ნაპოლი" აველინოში ვერ ითამაშებს.

სამაგიეროდ, „ნაპოლიში" ითამაშებს დიეგო მარადონა. იგი დედამისმა კრისტიანა სინარიამ მიიყვანა გუნდში.

არ გაგვიგიჟებულვართ. საუბარია 12 წლის დიეგო არმანდოზე, რომელიც მამა დიეგომ კანონიერი ცოლისგან მალულად ჩასახა სინიორა სინარიას წიაღში და შემდეგ უარჰყო — ეგ ბავშვი ჩემი არ არისო. კაცს უნებურად ცნობილი ქართველი კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას ერთი ნახატი გაახსენდება: გაყრილი ქმარი ეუბნება ქალს, ჯერ დამიმტკიცე, რომ ბავშვი ჩემია და ალიმენტებს მერე გადაგიხდიო. ამ დროს ხატია კაცი და ზუსტად ისეთივე ბიჭუნა, რომელიც დედის ხელს ჩაბღაუჭებია. ასეა მარადონების საქმეც. ამასწინათ პატარა დიეგო ტელევიზიით აჩვენეს. ეჭვი არაა — ყველამ, ვინც ის კადრი ნახა, გულიანად გადაიხარხარა. თან ბავშვი ბურთაობისას აჩვენეს. მოძრაობებიც კი მამისა ჰქონდა. ასე მიბაძვა შეუძლებელია, თავად უნდა იყო ასეთი.

მოკლედ, 1992 წელს ნეაპოლის სასამართლომ დაადგინა, რომ დიეგო მარადონა დიეგო მარადონას შვილია და მამა მარადონას შვილისთვის ყოველთვიურად 3 100 დოლარის გადახდა დაავალა. ბიჭუნას, ეტყობა, მამის ფული შეერგო, თანაც გენეტიკა გენეტიკაა და აგერ, არმანდო-უმცროსმა „ნაპოლის" ახალგაზრდულ გუნდში ამოჰყო თავი.



დიეგო არმანდო მარადონა - უმცროსი

რაც შეეხება იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსს", მან, როგორც წინაზეც გაცნობეთ, „ვალ დაოსტას" ამხანაგური 6:1 აღინა. თამაშის შემდეგ მწვრთნელი მარჩელო ლიპი კმაყოფილი ჩანდა, მეტადრე ზინედინ ზიდანის თამაშით, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით და, „მანჩესტერ იუნაიტედი" თავისთან ეპატიჟება.

— მშვენიერი ვარჯიში გამოგვივიდა — თქვა ლიპიმ — ფეხბურთელებს ერთმანეთის ჩინებულად ესმოდათ და მოედანზე კარგადაც მოძრაობდნენ. ძალიან მიხარია, რომ ზიდანმა სეზონი ორი გოლით დაიწყო. ვფიქრობ, ჩემპიონატში სულ მცირე შვიდს ან რვას გაიტანს. ის საოცარი ფეხბურთელია, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო. მან დღეს რომ ითამაშა, ასევე რომ გააგრძელოს, მეტის მოსათხოვნად ენა არ მომიტრიალდება.

თავად ზიდანმა ასეთი კომენტარი დაურთო: — ვფიქრობ, კარგად ვითამაშე და ვიმედოვნებ, რომ ასევე გავაგრძელებ. მართალია დღეს სუსტი მოწინააღმდეგე გვყავდა, მაგრამ ორი გოლის გატანა კარგად მენიშნა.

როგორც ჩანს, ლიპის ახალი იდეაც მოუვიდა — სამი თავდამსხმელით თამაში. წინ იქნება ფილიპო ინძაგი, აქეთ-იქით კი ალესანდრო დელ პიერო და დანიელ ფონსეკა.

— მაინც ვფიქრობ, რომ ჩემპიონატის უმეტეს თამაშებს ორი ფორვარდით ჩავატარებ. სამს შიგადაშიგ გამოვიყენებ — ჩაფიქრდა „იუვეს" მახვში.

ტრავმის შემდეგ სარბიელზე დაბრუნებულ ანტონიო კონტეს კი ნახევარდაცვის შუიდან ფრთაზე მოუხდა გადასვლა. იქ სადაც ადრე ვლადიმირ იუგოვიჩი თამაშობდა. ლიპიმაც თქვა, გადავწყვიტე მოედნის შუა ისეთივე დამეტოვებინა, ბოლოს რომ მქონდა, ხოლო კონტემ ფლანგზეც მომაწონა თავიო.

„ბოლონიას", რომელმაც რობერტო ბაჯო შეიძინა, ახლა „ლაციოსგან" სამხრეთაფრიკელი მარკ ფიშიც მოუნდა. ფიშმა მთელი მოსამზადებელი პერიოდი ბოლონიელებთან ერთად გაატარა, ორ ამხანაგურ თამაშშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ჰაერში ჰკიდია — კლუბები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ეს ამბავი ბოლონიელთა პრეზიდენტ ჯუზეპე გაძონის ფრიად აბრაზებს. ამასობაში, ინგლისში ალან შირერმაც უმძიმესი ტრავმა მიიღო და ნერვებაშლილ გაძონის თავში ახალმა აზრმა გაუელვა: დააზღვიოს თავისი ვარსკვლავის, ბაჯოს ფეხები. დაზღვევია კიდეც — 5,7 მილიონ დოლარად.

ფლორენციაში კი რუსი ანდრეი კანჩელსკისი ყველა ღონეს ხმარობს, რათა „ფიორენტინას" ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. შაბათს „ფიორენტინა" ამხანაგურ მატჩს მართავს „ტოტენჰემთან" და ანდრეი შეეცდება მწვრთნელებზე შთაბეჭდილება მოახდინოს. თუ ათამაშეს, ცხადია. საქმე ისაა, რომ იტალიელებს რუსი ნახევარმცველად არ მოეწონათ და ახლა ეუბნებიან, იქნებ თავდამსხმელად ივარგოო. „კორიერე დელო სპორტის" თქმით, კანჩელსკისს ინგლისში გატარებულმა წლებმა ღვთის ბოძებული ტექნიკა და ნიჭი დაუჩლუნგა.

ახლა კი ჩვენი იტალიური საზაფხულო მოგზაურობის ბოლო ქალაქი — მილანი. აქეთ შავ-ლურჯი „ინტერი", იქეთ კი შავ-წითელი „მილანი".

„ინტერი" ყიდულობს და ყიდულობს, ველარ ჩერდება. ურუგვაიში არის ასეთი გუნდი, „დანუბიო". მასაც გადაწვდა კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი. მისგან 20 წლის მცველი, ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მარტინ რივასი იყიდა. ფასზე არაფერი თქმულა, ის კი აღნიშნეს, რომ რივასი მილანში მარტოობას არ იგრძნობს — ზაფხულის დასაწყისში „ინტერმა" მისი თანამემამულე ალვარო რეკობაც იყიდა.

ფაბიო კაპელოს კი სწამს, რომ ბერლინის ტურნირის მოგება „მილანის" ხელახალ აღორძინებას ნიშნავს. „მილანმა" პენალტებით დაამარცხა მიუნხენის „ბაიერნი" და „პარი სენ ჟერმენი", შემდეგ კი 10 დღით ბრაზილიას გაემგზავრა.

— მოგება ყოველთვის სასიამოვნოა, მითუფრო ისეთ გუნდებთან, რომლებიც სამზადისში ბევრად გვჯობდნენ. ჩვენმა დაცვამაც, მე რომ მინდოდა, ისე ითამაშა. ერთადერთი თავდასხმა არ მომეწონა, მაგრამ ისიც იმის ბრალია, რომ ნახევარმცველები ბურთს დიდხანს აყოვნებდნენ. მეორე თამაშში სხვა შემადგენლობით მინდოდა თამაში, მაგრამ ტრავმებმა და ზოგი მოთამაშის არყოფნამ საშუალება არ მომცა — თქვა კაპელომ, რომლის გუნდი ოკეანეს გაღმა ითამაშებს „ატლეტიკო მინეიროსთან", „კორინთიანსთან" და „ამერიკასთან". ეს ბელუ ორიზონტეს ტურნირია, სადაც, თუ ფინალში გავიდა, „მილანს" კიდევ ერთი თამაში მოუწევს.

ბაპუნა ძიძია

# დასასრულამდე შორი ყოფილა



გუშინ ციურიხში 20 წლის ბრაზილიელ ვუნდერკინდ რონალდოს „კასანდრასავით" გაწელილი საზაფხულო თავგადასავლის მორიგი სერიის „პრეზენტაცია" შედგა.

ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ ბრაზილიელისთვის მოდავე „ბარსელონას" და „ინტერის" თავკაცები. ხელახლა დაიწყო ამ მეტად გაჭიანურებული საქმის გარჩევა. არა, რონალდო იტალიელთა საკუთრებაა და ამას წყალი არ გაუვა. უბრალოდ, საქმე დამატებით სატრანსფერო გადასახადს ეხება, რომელსაც კატალონიელები ითხოვენ, მილანელები კი უარყოფენ. „ბარსელონას" ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა ადრე განაცხადა, „ინტერმა" 27 მილიონის გარდა კიდევ 14 მილიონი გადაგვიხადოს და შევეშვებითო. მისმა იტალიელმა კოლეგამ მასიმო მორატიმ უპასუხა, 600 ათასს დაყაბულდით, მეტს არ გავიღებთო. ამათი დავა კარგა ხანს გაგრძელდა. ფიფამ უყურა, უყურა მოქიშპეებს და საკითხის გადასაჭრელად გუშინდლამდე დაუთქვა ვადა. გუშინ კი...

ფიფას შტაბ-ბინაში, შუადღისას, მორატისა და ნუნიესს შორის საქმის გარჩევა დაიწყო ადვოკატთა თანდასწრებით. უშედეგო ლაპარაკმა ოთხ საათს გასტანა. კომპრომისზე არც ერთი წავიდა და საქმე ერთი გოჯითაც არ წაწეულა წინ. „ინტერის" გენერალურმა მენეჯერმა, 1977 წელს უეფას თასზე თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ნათამაშევმა ჯაჩინტო ფაკეტიმ, სხდომის მერე ერთობ შეწუხებული რომ ჩანდა, განაცხადა — „ბარსელონას" წარმომადგენლებს რახანია ეხვეწებით, მაგრამ წყლის ნაყვის მეტს არაფერს ვაკეთებთო. ფაკეტიზე არანაკლები თანამდებობის პირმა, „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარმა კი კვლავ გაიმეორა 14 მილიონს ცენტი არ დააკლდებაო. თუმცა, იქვე დასძინა, ისიც ცხადია, რონალდოს უკან ვერ დავიბრუნებთო.

რაკი საქმე სხვების ჩაურევლად ვერ მოაგვარეს, „ბარსელონა" და „ინტერი" მსოფლიოს ფეხბურთის განმგებლის — ფიფას საბოლოო და ურყევ სიტყვას დაელოდებიან. ეს სხდომა სექტემბერში გაიმართება, მანამდე კი რონალდო ჩვეულებრივ გააგრძელებს ვარჯიშს „ინტერში".

ეტყობა, ჯიჯი სიმონიმ თავიდანვე იფიქრა, ბრაზილიელის გავლენის ქვეშ არ მოვექცეო და რონალდოს მკაცრად ეპყრობა. გახსოვთ, ალბათ, ჩასული არ იყო, უკვე რომ დაიწუნა — ეს რა არის, ასეთ ფორმაში ბომბარდირობა კი არა, გოლის გატანა მოენატრებაო. ეს კიდევ არაფერი: სიმონიმ გუშინ „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერელებთან განმეორებით შეხვედრისთვის რონალდო საერთოდ არ შეიყვანა გუნდში — იტალიაში დარჩეს, ივარჯიშოს, წინ ურთულესი სეზონიაო. რონალდო ბედს შეეგუა და ნვანკვო კანუსთან ერთად აპენინებზე ვარჯიშებზე იწყო ოფლის ღვრა. „ინტერის" მაისური ბევრს მავალებს. ვიცი, მძიმე სეზონი იქნება, მაგრამ მუხლები არ მიკანკალებს. „სან სიროს" განმაცვიფრა. შეუძლებელია, ეს სტადიონი შენი სახლი იყოს და დიდ გამარჯვებებზე არ ოცნებობდე" — თქვა მან.

სანამ ბრაზილიელი იტალიითა და მილანით იხიბლებოდა, ივან სამორანომ, ვის ცხრა ნომრიან მაისურსაც აპენინებზე ჩასვლითანავე დაადგა თვალი რონალდომ, განაცხადა, რონალდო ყველაფრის წართმევაზე რომ არის, თავი სად ჰგონიაო. „9 ნომრით ვთამაშობ 14 წელი, ხალხი ამით მცნობს და ამდენი ხნის მერე რატომ უნდა შევიცვალო?" — უკვირ სამორანოს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად მოგვარდა. მოკლედ, ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, დაძაბულობა კი იგრძნობა. ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო სიმონის სიტყვები — 3 ფორვარდით თამაში გამორიცხულიაო.

ლაშა გოდუაძე

„ნიუკასლმა" ერთი კვირის წინ განიზრახა, ფერდინანდს კარგა გვარიან თანხად „ტოტენჰემს" [illegible] რლიგაში [illegible] უკანასკნელის ნაცვლად აპრილში [illegible] თამაშე[illegible] საქმე [illegible]ბილი მეგონაო. ასე ფიქრობდნენ „ჯორდები", მაგრამ ლესის „ტოტენჰემში" გადასვლიდან დიდ ხანს არ გაუვლია, შირერი მძიმედ რომ დაშავდა. ნათელი გახდა, პრემიერლიგის ბოლო წლების ბომბარდირი თვეობით რომ გამოაკლდა გუნდს. ჰოდა, ნიუკასლელებმა თავში ხელი შემოირტყეს და ფერდინანდის დასაბრუნებლად ხელები დაიკაპიწეს, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი...

## ტოტენჰემი ჩემი სახლია

„ნიუკასლს" არ ვჭირდებოდი, „ტოტენჰემს" კი მინდო. არაფერია იმაზე კარგი, ხალხს შენი რომ სჯერა. ვეცდები, გოლებით გავახარო გულშემატკივრები. „ტოტენჰემში" ისევე ვგრძნობ თავს, როგორც შინ. მწვრთნელ ჯერი ფრენსისთან „ქუინზ პარკში" ვთანამშრომლობდი, ქინოლასთან და ფოქსთან ერთად „ნიუკასლში" ვთამაშობდი, სინტონი „ქუინზ პარკში" იყო ჩემი თანაგუნდელი, ხოლო კემპბელს ნაკრებში თამაშისას დავუმეგობრდი. მოკლედ, ნამდვილად არ გამიჭირდება" — განაცხადა შევკანიანმა ფორვარდმა. ლესმა უკვე ივარჯიშა ლონდონელებთან ერთად, ჩემპიონატისთვისაც გულიანად ემზადება და დარწმუნებულია, რომ „ტოტენჰემი" მოიპოვებს ნანატრ ჯილდოს, რომელიც 1991 წლის შემდეგ არ ღირსებია. მაშინ კლუბმა ასოციაციის თასი მოიგო.

## საუკეთესო გერმანელი

გერმანელი ჟურნალისტების გამოკითხვამ დაასახელა გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი. იგია დორტმუნდის „ბორუსიის" 31 წლის მცველი იურგენ კოლერი. მიღებული ხმების რაოდენობით კოლერმა უკან მოიტოვა მეორე ადგილზე გასული ბოხუმელი დარიუშ ვოში და მესამე ოლაფ ტონი, უეფას თასის მფლობელი „შალკეს" ფეხბურთელი.

სპორტულმა ჟურნალმა „კიკერმა" გამოაქვეყნა ათასზე მეტი საფეხბურთო მწერლის გამოკითხვის შედეგი. გასული წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, კოლერის დორტმუნდელი თანაგუნდელი მათიას ზამერი ამ ჯილდოს 1995 და 1996 წლებში ფლობდა.



## რუსეთი

მე-20 ტური. ცსკა — როტორი 0:2, ბალტიკა — ფაკელი 1:0, ზენიტი — ალანია 1:0, ჩერნომორეცი — შინიკი 1:0, კამაზი — ჟემჩუჟინა 2:3, ტიუმენი — ლოკომოტივი 0:0. სამი მატჩი ინტერტოტოს გამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 19 | 11 | 5 | 3 | 30:13 | 38 |
| როტორი | 20 | 11 | 4 | 5 | 36:20 | 37 |
| დინამო | 19 | 10 | 6 | 3 | 22:10 | 36 |
| ჩერნომორეცი | 20 | 8 | 7 | 5 | 23:20 | 31 |
| ტორპედო | 19 | 9 | 3 | 7 | 31:24 | 30 |
| ლოკომოტივი | 20 | 7 | 9 | 4 | 23:18 | 30 |
| ალანია | 20 | 9 | 2 | 9 | 33:23 | 29 |
| ჟემჩუჟინა | 20 | 8 | 5 | 7 | 19:21 | 29 |
| ბალტიკა | 20 | 6 | 11 | 3 | 21:14 | 29 |
| როსტსელმაში | 19 | 6 | 9 | 4 | 19:15 | 27 |
| კრილია | 19 | 7 | 5 | 7 | 14:16 | 26 |
| ზენიტი | 20 | 6 | 8 | 6 | 11:15 | 26 |
| შინიკი | 20 | 5 | 8 | 7 | 17:26 | 23 |
| ტიუმენი | 20 | 5 | 5 | 10 | 16:24 | 20 |
| ცსკა | 20 | 5 | 5 | 10 | 15:27 | 20 |
| კამაზი | 20 | 6 | 1 | 13 | 24:43 | 19 |
| ნ. ნოვგოროდი | 19 | 5 | 3 | 11 | 13:26 | 18 |
| ფაკელი | 20 | 4 | 2 | 14 | 12:25 | 14 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### რუსეთის ჩემპიონატი. XXI ტური

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ტიუმენი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ალანია — კრილია სოვეტოვი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| როტორი — ზენიტი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| დინამო — ბალტიკა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ნოვგოროდი — ლოკომოტივი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ტორპედო — ჩერნომორეცი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ჟემჩუჟინა — ცსკა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| შინიკი — კამაზი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ფაკელი — როსტსელმაში | 2,0 | 2,9 | 2,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აგვისტო | | | |
| შტუტგარტი — მიუნხენ 1860 | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| შალკე — ლევერკუზენი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| 2 აგვისტო | | | |
| კარლსრუე — ვერდერი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ბოხუმი — ბილეფელდი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| კიოლნი — დუისბურგი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჰანზა — ვოლფსბურგი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| 3 აგვისტო | | | |
| ჰერტა — დორტმუნდი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ჰამბურგი — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. II ტური

13 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — ფრაიბურგი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| კიკერსი — კარლ ცაისი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ვატენშაიდი — აინტრახტი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| დიუსელდორფი — ურდინგენი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ფორტუნა — მეპენი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ცვიკაუ — უნტერჰახინგი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მაინცი — ფიურტი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ზანქტ პაული — გიუტერსლო | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| კოტბუსი — ლაიპციგი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ბასტია | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| ბორდო — მონაკო | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| გინგამი — კანი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ლანსი — ოსერი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ლიონი — მეცი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| მარსელი — ლე ავრი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| მონპელიე — სტრასბური | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| პსჟ — შატორუ | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ტულუზა — რენი | 1,8 | 2,9 | 3,3 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 აგვისტო | | | |
| არაუ — გრასჰოპერი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| ბაზელი — სიონი | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| ლოზანა — სენტ გალენი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ლუცერნი — სერვეტი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| 3 აგვისტო | | | |
| კარუჟი — ქსამაქსი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ციურიხი — კრინსი | 1,6 | 3,1 | 4,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. VI ტური

2 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ტიროლი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| გრაცერი — რიდი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ლინცერი — რაპიდი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ლუშტენაუ — ადმირა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ზალცბურგი — შტურმი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 აგვისტო | | | |
| აბერდინი — კილმარნოკი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| სენტ ჯონსტონი — დანდი იუნაიტედი | 2,3 | 2,8 | 2,3 |
| 3 აგვისტო | | | |
| ჰიბერნიანი — სელტიკი | 3,3 | 2,9 | 1,8 |
| 4 აგვისტო | | | |
| რეინჯერსი — ჰარტსი | 1,15 | 4,7 | 8,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აგვისტო | | | |
| ანკარაგიუჯუ — გალათასარაი | 5,6 | 3,1 | 1,4 |
| 2 აგვისტო | | | |
| ფენერბაჰჩე — გაზიანთეფსფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ქოჩაელისფორი — ტრაბზონსფორი | 3,4 | 2,8 | 1,8 |
| 3 აგვისტო | | | |
| ბეშიქთაში — შექერსფორი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ბურსასფორი — ალთაი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დარდანელსფორი — ისთანბულსფორი | 6,5 | 3,4 | 1,3 |

## CROCO-2

### ტირაჟი №50

1. ნოვგოროდი — ლოკომოტივი
2. ჟემჩუჟინა — ცსკა
3. ჰერტა — დორტმუნდი
4. ჰამბურგი — მიონხენგლადბახი
5. ნანტი — ბასტია
6. ბორდო — მონაკო
7. ლანსი — ოსერი
8. მონპელიე — სტრასბური

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

1999 წლის პანამერიკული თამაშები კანადის ქალაქ ვინიპეგშია დანიშნული. კანადელებს, როგორც წესი, საორგანიზაციო საქმე არ ეშლებათ, მაგრამ პრობლემამ ყველგან შეიძლება იჩინოს თავი. ამჯერად ფინანსური სირთულეები გამოჩნდა.

## ყველაფერი ძვირდება

საკითხის გადასაჭრელად თამაშების ორგანიზატორებმა, 42 ქვეყნის სამსმა წარმომადგენელმა, სხდომაზე მოიყარეს თავი. მათ წინაშე ასეთი ამოცანა დგას: პროვინციულ თუ ფედერალურ მთავრობებს 40 მილიონი კანადური დოლარი უნდა გამოსთხოვონ. 40 მილიონი კანადური დოლარი კი 30 მილიონ ჩვენთვის ნაცნობ ამერიკულ დოლარს უდრის. მთავრობებს 60 მილიონი კანადური ერთეული (45 მილიონი ამერიკული დოლარი) უკვე ჰქონდათ გაღებული. სულ, პროექტის განსახორციელებლად კი 145 (107) მილიონია საჭირო.

თავიდან, ბიუჯეტს რომ ადგენდნენ, ორგანიზატორები 122 მილიონი კანადური დოლარის (90 მილიონი ამერიკული დოლარი) დახარჯვასვარაუდობდნენ, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, რომ რეკლამასა და ტელე-რადიო არხებს მეტი დასჭირდებოდა. მეტი აღმოჩნდა სხვა საორგანიზაციო ხარჯიც, მაგრამ კანადის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი კეროლ ენ ლეზერენი მაინც ოპტიმისტად რჩება.

— დღეისათვის თამაშებს საფრთხე არაფერი ემუქრება — თქვა მან — თუ ყველა ადრეულ თამაშებთან გავავლებთ პარალელს, ვნახავთ, რომ ასე გეგმიურად ერთიც არ მზადდებოდა. სხდომის მონაწილეებმა, ვინიპეგში ყოფნისას, თავისი თვალით ნახეს სარბიელთა რემონტი და სხვა სამუშაოები. სპორტსმენთა სოფლის ორი წლით ადრე გამართვა ხუმრობა ხომ არაა. კანადის ოლიმპიური ასოციაცია პანამერიკული სპორტის ორგანიზაციის ასამბლეაზე ისეთი მოხსენებით წარდგება, როგორც ამ ორგანიზაციას არასდროს მოუსმენია. სამუშაოთა უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებულია.

თამაშების ორგანიზატორებს კანადის სამაუწყებლო კორპორაციასა და სპორტულ ქსელთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ეს ორგანიზაციები თამაშებიდან რეპორტაჟებს მიაწვდიან მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობას, CBU და OTI კი კარიბეთში, ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში აწარმოებენ ტრანსლაციებს. კანადის პროვინციული და ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლები ორგანიზატორთა სხდომებს მუდმივად ესწრებიან და ფინანსურ საქმეთა შესახებ ყველაფერი იციან.

პანამერიკული სპორტის ორგანიზაციის თავმჯდომარე სენფორდ რაილი: — ფასები თანდათან იზრდებოდა და ჩვენ მათზე მკაფიო წარმოდგენას ვიქმნიდით. საბოლოოდ ასე, 140-145 მილიონი კანადური დოლარი დაგვჭირდება, თუმცა დამატებითი თანხა სასწრაფოდაა საშოვნელი.

სხდომაზე, რომელიც ვინიპეგში მიმდინარეობს, აღნიშნული სირთულეების გარდა წარადგენენ 2003 წლის პანამერიკული თამაშებისა და 2004 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქებს. ვინიპეგის თამაშებში კი 42 ქვეყნის 5 ათასი სპორტსმენი 41 სახეობაში გაეჯიბრება ერთმანეთს.

ვინიპეგში 1967 წელსაც გაიმართა პანამერიკული თამაშები.

**ლევან ჩხეიძე**


იყიდება
თეთრი, გამჭვირვალე
ორგანული მინა.
3 და 4 მილიმეტრიანი.
ზომები: 80x120 სმ და 120x170 სმ
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 95-22-56
38-60-88 (საღამოს საათებში)




## ამერიკელებს აზრი შეაცვლევინეს

CART-ის პილოტებმა აეროდრომებსა და ქალაქის ქუჩებში სახელდახელოდ მოწყობილი ტრასებიდან კლასიკურ ოვალზე გადაინაცვლეს და ბრუკლინის (მიჩიგანის შტატში) 2 მილიან „მიჩიგან სპიდვეის" ტრეკზე ნაღდი ამერიკული სანახაობა — 500 მილიანი რბოლა გამართეს. ამ ოვალზე ადრე „მარლბორო-500" ტარდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ინდი-500"-ის ასპარეზობა გაუქმდა, „US-500" ეწოდა.



ალექს ზანარდი: იტალიელის იღბლიანი რბოლა ამერიკაში

ამ თითქმის 800 კმ-იანი ასპარეზობის მოგებას ამერიკელები მუდამ თანამემამულეთ უპირატესობად თვლიდნენ, ევროპელებს კი ავტოდრომებისა და ქალაქში მოწყობილი რბოლების ოსტატებად მიიჩნევდნენ. მაგრამ აზრი თანდათან შეიცვალეს — უცხოელი პილოტები სულ უფრო ხშირად იგებენ ოვალებზე გამართულ რბოლებს. ამჯერადაც ეს 250 წრიანი მარათონი 30 წლის იტალიელის — ზანარდის გამარჯვებით დასრულდა. მეორე ადგილიც ევროპელს — ბრანდლს ერგო, რომელიც, ფორმულა 1-სგან განსხვავებით, ამერიკაში წარმატებას წარმატებაზე აღწევს.

შაბათის კვალიფიკაციაზე სკოტ პრუეტმა გაიმარჯვა. მან 233,857 მილ-სთ სიჩქარით გაიქროლა ტრეკზე და შარშანდელი დეტროიტის რბოლის შემდეგ პირველად მოიპოვა პოული. პრუეტს ამ ტრეკზე 1995 წელს გაუმარჯვია და შარშანაც დიდხანს ლიდერობდა, მანამ, სანამ ფინიშამდე 9 წრით ადრე ძრავამ არ უმტყუნა. ამიტომაც სტარტს კარიერაში მესამე გამარჯვების იმედით ელოდა. მის გვერდით, პირველ რიგში გუჟელმინმა ირგუნა ადგილი, მე-3 შედეგი პრუეტის თანაგუნდელმა ბოესელმა აჩვენა. ზანარდი (230,947 მილ-სთ) მხოლოდ მე-7 იყო, ჩემპიონატის ლიდერი ტრეისი კი — მე-18. მის უკან მაიკლ ანდრეტიმ მოიპოვა ადგილი, რომელსაც ვერაფრით გაეგო, რატომ იყო მისი „სვიფტი" ასე ნელი, მაშინ, როცა ვარჯიშზე უსწრაფესთა შორის იყო.

სასტარტო განლაგება:

**პრუეტი** (რეინარდ-ფორდი), **გუჟელმინი** (რეინარდ-მერსედესი), **ბოესელი** (რეინარდ-ფორდი), **ვასერი** (რაინარდ-ჰონდა), **ჯონსტონი** (რეინარდ-ჰონდა), **რაჰალი** (რეინარდ-ფორდი), **ზანარდი** (რეინარდ-ჰონდა), **ჰერტა** (რეინარდ-ფორდი), **რიბეირო** (ლოლა-ჰონდა), **დე ფერანი** (რეინარდ-ჰონდა), **ბლანდელი** (რეინარდ-მერსედესი), **კარპენტიე** (რეინარდ-მერსედესი), **ფრანკიტი** (რეინარდ-მერსედესი), **ფიტიპალდი** (სვიფტ-ფორდი), **ანსერი** (პენსკე-მერსედესი), **ფერნანდესი** (ლოლა-ჰონდა), **მურდენი** (ლოლა-ფორდი), **ტრეისი** (პენსკე-მერსედესი), **ანდრეტი** (სვიფტ-ფორდი), **სალეში** (რეინარდ-ფორდი), **მური** (რეინარდ-მერსედესი), **ჰერნი** (ლოლა-ფორდი), **პაპისი** (რეინარდ-ტოიოტა), **ჯონსი** (რეინარდ-ტოიოტა), **ფანხიო** (რეინარდ-ტოიოტა), **მაცუშიტა** (რეინარდ-ტოიოტა), **ვიტოლო** (ლოლა-ფორდი), **მეირი** (ლოლა-ფორდი).

რბოლა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. 9 პილოტი 13-ჯერ შეიცვალა პირველ პოზიციაზე, ხოლო მსაჯებს 6-ჯერ, სულ 55 წრის განმავლობაში მოუხდათ ყვითელი ალმების ფრიალი. ფინიშისას კი 28-დან მხოლოდ 10 ბოლიდი მოძრაობდა ტრასაზე.

პოულის მფლობელმა პრუეტმა პირველივე წრის შემდეგ დაუთმო ლიდერობა ბრაზილიელ გუჟელმინს, რომელმაც, თავის მხრივ, თანამემამულე რიბეიროს გადააბარა იგი. 36-ე წრეზე მე-6 ადგილზე მყოფმა ზანარდიმ ბოქსებში პნევმატურ ქანჩსალებს გადაუარა და მისთვის ბოქსების ხაზზე შეზღუდული სიჩქარით — 80 მილ-სთ-ით გავლით დაჯარიმდა. იტალიელმა, როგორც ჩანს, კარგად დასცადა რბოლისას დაჯარიმება: კლივლენდში იგი ბოქსებში უდროო დროს შესვლისთვის დაისაჯა, 22-ე ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ რბოლა მაინც მოიგო. ამჯერადაც ასე იყო, ოღონდ სასჯელის მოხდის შემდეგ იგი მე-18-ზე, იმავე მიზეზით დაჯარიმებულ ტრეისის წინ აღმოჩნდა.

57-ე წრეზე ლიდერ რიბეიროს გადაცემათა კოლოფმა უმტყუნა და პრუეტი დაწინაურდა, 20 წრის შემდეგ კი იგი ანდრეტიმ შეცვალა. მაიკლი დამაჯერებლად ლიდერობდა და პოზიციის დათმობასაც არ აპირებდა, მაგრამ მასაც რიბეიროს ბედი ეწია და რბოლა მიატოვა.

127-ე წრეზე რაჰალმა ჩამორჩენილი ვიტოლოს გასწრება გარე მხრიდან სცადა, მაგრამ ამანაც მაღლა, კედლისკენ აიწია და მეორე მოსახვევში რაჰალი კედელს შეეჯახა. საბედნიეროდ, არ დაშავებულა. იმავე კედელმა პრუეტი და ჯონსტონიც მიიზიდა — პრუეტს არაფერი მოსვლია, ჯონსტონი კი ბეწვზე გადაურჩა სერიოზულ ტრავმას. შეკიდულობის ნამსხვრევმა მუზარადი გაუპო და გვარიანი კოპი არ აკმარა, პატარა ჭრილობაც დაუტოვა შუბლზე.

220-ე წრეზე დე ფერანი პირველობდა, მაგრამ საწვავის შევსება დასჭირდა და ზანარდი დაწინაურდა. დარჩენილ 30 წრეზე აღარაფერი შეცვლილა და იტალიელმა წლეულს მესამე, საერთოდ — მეექვსე, ოვალზე კი პირველი გამარჯვება მოიპოვა. მე-2-ზე გასული ბლანდელი მას 31,737 წამით, თითქმის მთელი წრის სიგრძით ჩამორჩა. დანარჩენებმა კი ყველა წრის გავლა ვერ მოახერხეს. ამ გამარჯვებით ზანარდი საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა და მდევარ ტრეისის, რომელიც რბოლაში მე-4 იყო, 6 ქულით უსწრებს.

**ალეკო ჭაბუკიანი**

### რბოლის შედეგები

US-500

27 ივლისი, ბრუკლინი (მიჩიგანი)

დისტანცია 250 წრე — 500 მილი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზანარდი | 20 ქულა |
| 2. | ბლანდელი | 16 |
| 3. | დე ფერანი | 14 |
| 4. | ტრეისი | 12 |
| 5. | ჰერტა | 10 |
| 6. | გუჟელმინი | 8 |
| 7. | ვიტოლო | 6 |
| 8. | პაპისი | 5 |
| 9. | მაცუშიტა | 4 |
| 10. | სალეში | 3 |
| 11. | ფანხიო | 2 |
| 12. | მეირი | 1 |

*ზანარდიმ ერთი ქულა მიიღო ლიდერობისთვის, პრუეტმა 1 — პოულისთვის.*

### პირადი პირველობა

1. ზანარდი 127 ქულა, 2. ტრეისი 121, 3. დე ფერანი 108, 4. ანდრეტი 103, 5. მური 95, 6. პრუეტი 82, 7. ვასერი 75, 8-9. ბლანდელი და გუჟელმინი 72-72, 10. ბოესელი 66

## ზოგი მიდის, ზოგიც რჩება

სანამ გერმანიის დიდი პრიზი თამაშდებოდა, გაირკვა ზოგიერთი პილოტის ბედი მომავალ სეზონში.

ავსტრიის ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, გერჰარდ ბერგერი გასად „ბენეტონს" დატოვებს. საერთოდ, გააგრძელებს თუ არა კარიერას, ამას ვეტერანი პილოტი 2-3 კვირაში გადაწყვეტს.

სააგენტო იმასაც იუწყება, რომ „ბენეტონში" ჟან ალეზის ავსტრიელი ალექსანდრ ვურცი შეცვლის.

მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონ ჰილი, რომელიც ამ სეზონში კარგი შედეგებით ვერ დაიკვეხნის, ჯერჯერობით არ ჩქარობს თავისი მომავალი გუნდის დასახელებას. ამბობენ, პილოტი „პროსტში", „ზაუბერში" ანაც „მაკლარენში" გადავაო, მაგრამ გამორიცხული არ არის, კვლავ „ეროუსში" დარჩეს, რომელიც მომავალ სეზონში ახალი, ბარნარდის მომზადებული მანქანით და უფრო მძლავრი ძრავით იასპარეზებს.

„უილიამსის" ტექნიკურმა დირექტორმა პატრიკ ჰედმა კი განაცხადა, რომ კმაყოფილია თავისი ორივე პილოტით და კვლავაც მათ დატოვებას აპირებს.

რალფ შუმახერმა კი დაადასტურა, რომ მომავალ წელსაც ედი ჯორდანის გუნდში გამოვა. თვით „საჯინიბოს" შეფი კმაყოფილია შუმი-უმცროსის ასპარეზობით და აცხადებს, რომ რალფის დებიუტი შესანიშნავი იყო და ეს 22 წლის პილოტი მომავალ ჩემპიონად ესახება. კულუარებში ლაპარაკობენ „ჯორდანისა" და „მუგენ-ჰონდას" შესაძლო ალიანსის შესახებაც.

ჩოგბურთი

# ჯონათან, ცოლს ნუ ელოდინებ!

მონრეალი. კანადის ღია ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 2,3 მილიონი დოლარი.

მონრეალში პირველი მატჩი მეცამეტედ განთესილ სამხრეთაფრიკელ ვეინ ფერერასა და ჩეხ დანიელ ვაცეკს შორის შედგა. ფერერა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონია. თუმცა, წელს საშინლად ასპარეზობს — ერთადერთხელ მიაღწია ნახევარფინალამდე და კლასიფიკაციაშიც 28-ზე დაეშვა. მონრეალში წარუმატებელი გამოსვლა მას ათიოდე საფეხურით კიდევ დააქვეითებდა. ვეინს ვაცეკისთვის აქამდე ზედიზედ ცხრაჯერ მოეგო. ამან თუ აალელვა ჩეხი დასაწყისში, რაც ორ გეიმში ექვს ორმაგ შეცდომად დაუჯდა. სამ-



კაფელნიკოვი ხასიათის მოთამაშეა

ხრეთაფრიკელი დაწინაურდა, მაგრამ 5:4-ზე მასაც აუკანკალდა ხელი და სამი სეტ-ფოინთი ქარს გაატანა. თაი-ბრეიქზე მეტოქეები ქულა-ქულაზე მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ 6:5-ზე ფერერამ ზუსტი ბექჰენდით პირველ ხელს წერტილი დაუსვა; მეორე სეტის შუაში მატჩი წვიმის გამო 80 წუთით შეწყდა. განახლების შემდეგ კი სამხრეთაფრიკელმა სწრაფად მოითავა საქმე — 7:6, 6:1.

სხვა განთესილებს პირველ წრეში ნაკლებად გაუმართლათ. ინგლისელთა დიდმა იმედმა — თიმ ჰენმანმა (10) მასპინძელ სებასტიან ლებლანთან წააგო, რომელიც კლასიფიკაციაში ოდენ 885-ე ყოფილა: 6:7, 6:4, 3:6. ჯიმ ქურიემ (14) წინა კვირაში ყველა ძლიერად მომწოდებელი ჩოგბურთელი დაჩაგრა, აქ კი ამერიკელმა თიხნარის ტანდაბალ სპეციალისტს — ფრანგ ფაბრის სანტოროს ვერაფერი მოუხერხა — 5:7, 6:4, 4:6. 20 წლის ჯასთინ გიმელსთობი, თავის წინა ტურნირზე ერთ დროს სახელოვანი, ახლა კი ლიპდადებული ანდრე აგასი რომ იმსხვერპლა, საუკეთესო ასეულის უმრწემესი ამერიკელი შეიქნა. პირველი წრის შეხვედრაში მისი მეტოქე ჩეხი პეტერ კორდა (9) იყო. გიმელსთობმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით — 6:4 მოიგო, თანაც პირველში 1:4-ს აგებდა. ამერიკელი ჯონათან სტარქი წინა კვირაში დაოჯახებულა და გაბედნიერების შემდეგ პირველ მატჩს ხომ არ წააგებდა სომეხ სარგის სარგსიანთან — 6:7, 6:3, 6:3.

**პირველი წრე: იონას ბიორკმანი (12. შვედეთი) — ბობი ქოქავეცი (კანადა) 6:2, 6:3; იან სიმერინკი (16. ჰოლანდია) — ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 6:3, 6:4; ტომი ჰაასი (გერმანია) — დანიელ ნესტორი (კანადა) 5:7, 6:4, 6:4; ფატრიქ რაფტერი (11. ავსტრალია) — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; ალექს ობრაიენი (15. აშშ) — არნო ბიოჩი (საფრანგეთი) 6:1, 6:2; გიიომ რაუ (საფრანგეთი) — პიერ გოტიე (საფრანგეთი) 6:3, 7:6; ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6, 4:6, 6:4.**

სამშაბათს მონრეალში რამდენიმე მეორე წრის შეხვედრაც გაიმართა. ევგენი კაფელნიკოვმა (4) რის ვაი-ვაგლახით მოუგო ამერიკელ ვინს სფადეას — 4:6, 6:3, 7:6 (8:6) მესამე სეტში რუსი 4:0 რომ დაწინაურდა, ზედმეტად მოეშვა, ზედიზედ რამდენიმე გეიმი წააგო და თაი-ბრეიქამდე მიიყვანა საქმე. იქ 6:4-ზე სოჭელმა ორი მატჩ-ფოინთი ვერ შეირგო, მაგრამ წაგების საფრთხემ შეაფუცხუნა და მძლავრი ბექჰენდებით ბოლო ორი ქულაც მიითვალა. სამაგიეროდ, მესამე სეტის თაი-ბრეიქზე ვერ იხეირა მეთექვსმეტედ განთესილმა იან სიმერინკმა. მას ამერიკელმა ქრის ვუდრაფმა მოუგო — 6:7, 7:5, 7:6. როგორც იქნა, ტურნირის სტარტზევე გავარდნას გადაურჩა როლან გაროსის წლევანდელი გამარჯვებული გუსტავო კერტენი. მან ახალდაქორწინებული ჯონათან სტარქი მეუღლესთან გაისტუმრა — 6:2, 6:4. მესამე წრეში გავიდნენ აგრეთვე ნევილ გოდვინის 7:6, 6:1 მძლეველი ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი (8) და ბიორკმანი, რომელმაც აგასის დამბრიყვებელ დუგ ფლეშს მოუგო — 5:7, 6:3, 7:5.

ამსტერდამი. „გროლშ ოუფენ". ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 475 ათასი დოლარი.

ამერიკის ღია ჩემპიონატის წინ თითქმის ყველა მაღალი კლასის მოთამაშე ატლანტიკის გაღმა გადაბარგდა, ჰოლანდიას კი თიხნარის ჭეშმარიტი მოყვარულნიღა შერჩნენ. ზოგმა განთესილმა პირველივე წრეში წაიტეხა კისერი. დენის ვან შეპინგენი ვერ გამოდგა კარგი მასპინძელი: მან ესპანელ ალბერტ კოსტას (2) 6:3, 6:4 მოუგო. კიდევ ერთმა ჰოლანდიელმა — იონ ვან ლოტუმმა წინა კვირაში კიცბიუელის ტურნირის გამარჯვებული, ბელგიელი ფილიპ დევულფი არ გაახარა — 7:5, 6:1. მაროკოელმა ქარიმ ალამიმ წლეულს წარუმატებლად მოასპარეზე ესპანელი ალბერტო ბარასატეგი (3) სძლია — 6:4, 6:4. განთესილთა შორის უკანასკნელი მსხვერპლი კი ჩეხი ბოგდან ულირახი (5) აღმოჩნდა. იგი გერმანელ ჰენდრიკ დრეეკმანთან დამარცხდა — 6:4, 4:6, 3:6.

**პირველი წრე: ხავიერ სანჩესი (6. ესპანეთი) — ტომ კემპერსი (ჰოლანდია) 5:7, 6:4, 6:4, ფრანსისკო კლავეტი (8. ესპანეთი) — ლიბორ ნემეჩეკი (ჩეხეთი) 6:3, 7:5; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) 6:3, 7:6; კარლოს მოია (1. ესპანეთი) — გრეგორ კარასი (საფრანგეთი) (6:4, 6:4; მაგნუს ნორმანი (4. შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 5:7, 6:1, 6:0; ჰიშამ არაზი (7. მაროკო) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 2:6, 6:1, 7:6 (10:8).**

სან დიეგო. „ტოშიბა ქლასიქი". ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი.

ამერიკის ღია ჩემპიონატისთვის მზადება ქალებმაც დაიწყეს. სან დიეგოში დიდი სლემის მორიგი ტურნირის თითქმის ყველა ფავორიტმა მოიყარა თავი. პირველ წრეში ერთთვიანი შესვენების შემდეგ პირველი მატჩი გამართა რუმინელმა ირინა სპირლეამ (8). აქამდე მას რუს ელენა ლიხოვცევასთვის ყველა პირადი შეხვედრა მოეგო, მათ შორის — სამი წლეულს და არც ახლა ჰქონია პრობლემები: 6:3, 6:3. სამაგიეროდ, სხვა განთესილებს მეტად გაუჭირდათ. გერმანელმა ანკე ჰუბერმა (5) სამ სეტში დაამარცხა ბულგარელი მაგდალენა მალეევა — 7:5, 1:6, 6:3, ფრანგ მარი პირსს (6) კი მასპინძელი ემე ფრეზერი 2 საათსა და 20 წუთს უძალიანდებოდა — 6:3, 6:7, 6:3. ფერადკანიანმა რუბინმა ბებერ ჩეხთან ჰელენა სუკოვასთან 7:5, 3:0-ზე მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ბელარუსმა ნატაშა ზვერევამ მსოფლიოს მე-15 ჩოგანს, ამერიკელ ქიმბერლი ფოს მოუგო — 7:6, 2:6, 6:1.

17 წლის ვინუს ვილიამსს ტურნირის ორგანიზატორებმა — „ვაილდ-ქარდი" კი გამოუყვეს, მაგრამ ამან გასახურებლად შესარჩევ ტურნირში ამჯობინა თამაში. იქ ვინუსმა ყველა დაიბრიყვა, პირველ წრეში კი არგენტინელ ფლორენსია ლაბატსაც სძლია — 6:3, 6:2. პრობლემები ვილიამსს მხოლოდ მაშინ შეექმნა, როცა კოლორიტული თმის ვარცხნილობა მოეშალა და თმის სარჭები კორტებზე დაუ-



ვინუს ვილიამსს ჰინგისის არ ეშინია

ცვივდა, აკრეფას კი კარგა ხანი დასჭირდა. მეორე წრეში ამერიკელს მსოფლიოს პირველ ჩოგანთან მარტინა ჰინგისთან ელის შეხვედრა. „ეს ჩემთვის ჩვეულებრივი მატჩი იქნება. ზოგიერთი ჩოგბურთელი მატჩამდე ეგუება მარტინასთან მარცხს. მე ეს პრობლემა არ მაწუხებს. ნებისმიერ თამაშზე იმ განწყობით გავდივარ, რომ მეტოქეს არც ერთი ქულა არ უნდა დავუთმო. სხვანაირად ვერაფერს მიაღწევ" — თქვა ვილიამსმა ინტერვიუში.

**პირველი წრე: სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:1, 6:2; ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 7:5, 6:3; იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) — ენ მილერი (აშშ) 6:1, 6:3**

ბაიოზ ბერიძე

ჰოკეი



მარკ მესიემ რეინჯერსი დააგდო

# მესიეს დიდი გადასახლება

მარკ მესიე, „ნიუ იორკ რეინჯერსის" ლიდერი, კაცი რომელმაც ამ გუნდს, ბოლო 54 წელიწადში პირველად, 1994 წელს სტენლის თასი მოაგებინა, ახალ ამოცანას ეჭიდება. მან „ვანკუვერ კენაკსთან" მდიდრულ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ცნობათა თანახმად, მესიეს ვანკუვერელები სულ მცირე 20 მილიონ დოლარს უხდიან.

36 წლის ვარსკვლავი ამერიკაში გუნდურ სახეობათა ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლადაა აღიარებული. იგი სამი წლის წინ ნიუ იორკის გუნდში 18 მილიონად გადავიდა და ამ თანხის საქმე შეასრულა კიდეც. გასულ სეზონში მისი მონაგარი გახლდათ 36 გოლი და 48 საგოლე პასი ანუ 84 ქულა. „რეინჯერსმა" მესიეს შენარჩუნება სცადა, კიდევ ორ წელიწადში 10 მილიონი შესთავაზა, მაგრამ კაპიტანს ეცოტავა.

— დღეს „მედისონ სკვერზე" ნაღვლიანი დღეა. მინდოდა, მესიეს კარიერა ნიუ იორკში დაესრულებინა. ვფიქრობდი, რომ ერთმანეთს ვენდობოდით, მაგრამ მოვტყუვდი. მე ხომ მარკისთვის საბოლოო და საუკეთესო წინადადება ჯერ არ შემეთავაზებინა — თქვა კლუბის პრეზიდენტმა დეივ ჩეკეტსმა.

ახლა „ვანკუვერს" შეუძლია „რეინჯერსზე" შური იძიოს. 1994 წლის ფინალში ხომ მესიეს ახალი მფლობელი ძველთან დამარცხდა. გასულ სეზონში „კენაკსი" პლეი-ოფს მიღმაც დარჩა (35-40-7, 77 ქულა). ის კი არა, თავიანთ ახალ სარბიელზე „ჯი-ემ პლეისზე" ხალხსაც ვერ აგროვებდნენ. ახლა კი მათ მესიე, ბურე, მოგილნი და ლინდენი ჰყავთ.

ნჰლ-ში გატარებულ 18 სეზონში მესიემ 575 გოლი გაიტანა და ისტორიაში, ჯერჯერობით, მეათე ბომბარდირია. 977 საგოლე პასით ასისტენტთა სიაში იგი მეექვსეა, ქულებში კი 1552 ქულით მეხუთე. „ედმონტონ ოილერზში" თამაშისას, 1984 წელს, მესიე პლეი-ოფების ყველაზე ღირებულ ჰოკეისტად მიიჩნიეს. იმავე კლუბში, 1990 წელს და „რეინჯერსში", 92-ში იგი ლიგის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე გახდა.

80-იან წლებში მესიე „ოილერზში" დიდი უეინ გრეცკის თანაგუნდელი იყო, მაგრამ 1990 წელს, გრეცკის წასვლის შემდეგ, მარტომ მიიყვანა ედმონტონელები სტენლის თასამდე.

თუმც ბოლო პლეი-ოფში ცუდად იასპარეზა (15 თამაშში 3 გოლი და 9 საგოლე პასი), იგი პლეი-ოფების ისტორიაში მაინც მხოლოდ გრეცკის ჩამორჩება. მესიეს მონაგარი 109 გოლი, 186 საგოლე პასი და 295 ქულაა.

გიგა ძოგახიძე

მძლეოსნობა



დონოვან ბეილი

# ყველაზე სწრაფი მსოფლიოში

თუკი პელე ფეხბურთისთვის დაიბადა, მუჰამედ ალი — კრივისთვის, ოლიმპიური ჩემპიონი სპრინტში დონოვან ბეილი იმისთვის მოევლინა ქვეყნიერებას, რომ ერბინა, მაგრამ 23 წლის ასაკამდე თავადაც არ იცოდა ამის შესახებ. იგი ფხიანი ბიზნესმენი გახლდათ და 21 წლისა საკუთარი „პორშეთიც" იწონებდა თავს.

80-იანი წლების ბოლოს, როდესაც კანადას ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი იმ კრიზისიდან, ბენ ჯონსონის დოპინგ-სკანდალს რომ მოჰყვა, ბეილი ვერც კი იფიქრებდა, რომ სწორედ იგი მოევლინებოდა მხსნელად მძლეოსნობას. მაშინ, როცა ჯონსონი და მისი მწვრთნელი ჩარლი ფრენსისი დოპინგთან დაკავშირებულ ამბებს უმხელდნენ საზოგადოებას, დონოვანი კოლეჯის საკალათბურთო გუნდში თამაშობდა და არცთუ ურიგოდ. თუმცა, 16 წლისამ 100 მეტრის გარბენა 10,65 წამში მოახერხა. ამ შედეგისთვის მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია და მძლეოსნობასთან კავშირი კარგა ხნით შეწყდა.

ყველაფერი კი მაშინ შეიცვალა, როცა იორქის უნივერსიტეტში ბეილიმ 60 მეტრზე გარბენში მოსინჯა ძალა. ყველას გასაოცრად, 23 წლისამ ყოველგვარი წინასწარი ვარჯიშის გარეშე 6,70 წამი უჩვენა. მძლეოსნობამ, როგორც იქნა, დააინტერესა მომავალი ჩემპიონი, თუმცა, დიდი შედეგების მისაღწევად კარგა ხანი დასჭირდა. 1994 წელს მან 100 მეტრი 10,03 წამში გაირბინა და ელიტაშიც შედგა ფეხი. ბეილი თავის კარიერაში გადამწყვეტ მომენტად 1993 წლის შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატს მიიჩნევს. მაშინ მასთან ამერიკელი მწვრთნელი დენ პფაფი მისულა და უთქვამს, საშინლად დარბიხარ, მაგრამ ყველაფერი გაქვს საიმისოდ, რომ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი გახდე, თუკი მენდობი, ბევრს მიაღწევო.

პფაფი თაღლითი რომ არ აღმოჩნდა, ორიოდ წელიწადში გაირკვა: გიოტებორგის მსოფლიო ჩემპიონატზე ბეილიმ საუკეთესო დრო — 9,97 აჩვენა. შარშან კი კანადელმა ატლანტის ოლიმპიადაზე მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 9,84 წამი.

ახლა კი, როდესაც 30 წლამდე 2 თვე უკლია, ბეილი მორიგ მსოფლიო ჩემპიონობას უმიზნებს, თუმცა, საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის. კვირას, ათენში ჩასვლის შემდეგ ვირუსი შეყრია, თანაც მუხლიც ასტკივებია, თუმცა მაინც დიდ გულზეა: „ვიცი, რომ მსოფლიო რეკორდზე გაცილებით სწრაფად შემიძლია ვირბინო. თუკი სრულყოფილად გავირბენ, დროს 9,7-ის ფარგლებში ვუჩვენებ, შესაძლოა, უკეთეს შედეგსაც მივაღწიო."

ბეილიმ მასმედიის დიდი ყურადღება მიიპყრო წლეულს, როდესაც პირად დუელში 150 მეტრზე მაიქლ ჯონსონს აჯობა. ამისთვის 1,5 მილიონი დოლარი მიიღო. თუკი ათენში მსოფლიო რეკორდის დამყარებას მოახერხებს, იგი კიდევ 160 ათასი დოლარით გაისქელებს ჯიბეს, თუმცა, დონოვანს ახლა მთლად კარგად ვერ მიუდის საქმე. მასზე უკეთესი შედეგები წელს ტრინიდადელ ათო ბოლდონს, ამერიკელებს — მორის გრინს, ჯონ დრამონდსა და თიმ მონთგომერის, ნამიბიელ ფრენქი ფრედერიქსს აქვთ. ასე რომ, იოლი გასეირნება ბეილის ნამდვილად არ ელის, თუმცა იგი უბრძოლველ გამარჯვებებს არც არის ჩვეული.

# ჰაილე თანახმაა

ჰაილე გაბრესილასიემ IAAF-ის მიძალებას ვერ გაუძლო და ათენის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას დაყაბულდა განაცხადა. 24 წლის ეთიოპიელმა სპორტსმენმა სამი კვირის წინ 10 000 მეტრზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ათენის სტადიონზე ოლიმპიადის მაგვარი საფარი იქნებოდა, იქ წასვლაზე სასტიკი უარი განაცხადა, ატლანტაში ფეხები დამისკდა და მსგავსი რამის განმეორების სურვილი სულაც არა მაქვსო. ამხელა ვარსკვლავის უარმა ბევრი შეაფუცხუნა. ჰაილეს ჩამცმელ-დამხურავმა „ადიდასმა" სპეციალური ფეხსაცმლის დამზადება ითავა, IAAF-მა კი ეთიოპიის მძლეოსნობის ფედერაციას შეუთვალა, სარბენ ბილიკს ჩემპიონატის დაწყებამდე გავაუმჯობესებთ.

გაბრესილასიე უმადური კაცი არ აღმოჩნდა, ამდენი გარჯა დააფასა და საბერძნეთში წასასვლელადაც გაემზადა, თუმცა თავისი თანხმობა პატრიოტული მოტივებით ახსნა: „ათენში ეროვნული დროშის პყრობა მევალება, ჩემი ქვეყანა უნდა წარმოვადგინო და ჩვენებს წარვუძღვე კიდეც. ასე რომ, მიუხედავად საფარის შეუფერებლობისა, მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე." ათენში ახლა დიდი ბრძოლა შედგება გაბრესილასიესა და მაროკოელ სალა ჰისუს შორის. ჰაილემ სწორედ მისი რეკორდი გააუმჯობესა ოსლოში, როდესაც 10 000 მეტრზე 26 წუთი და 31,32 წამი უჩვენა.

კვირას გაირკვა, რომ ათენში არ იასპარეზებს სიმაღლეზე ხტომაში ყოფილი მსოფლიო რეკორდსმენი შვედი პატრიკ სიობერგი. მას მუხლის ტრავმის მორჩენა დროულად ვერ მოუხერხებია.

უცნაური ამბავი მოხდა შრი-ლანკაზე. აღმოჩნდა, რომ „რატომღაც" ათენში ამ ქვეყნის 5 სპორტსმენი და 9 თანამდებობის პირი მიემგზავრებოდა. მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გამოიძიებს ამ საქმეს, ჩემპიონატზე კი 4 თანამდებობის პირზე მეტი არ წავა. ერთი მათგანი, რა თქმა უნდა, თავად პრეზიდენტი იქნება, რომელსაც თევზჭერის მინისტრის თანამდებობაც ჰქონია შეთავსებული.

ზურაბ ძალატოზიშვილი

# ბენ ჯონსონი. უპატიებელია

კანადელ სპრინტერ ბენ ჯონსონს, რომელსაც დოპინგის ხმარების გამო სამუდამო დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი, ალკვეთა ძალაში დაუტოვეს. კანადელი სპორტსმენის პროტესტი, რომ მას სარჩოს შოვნის უფლება მოუსპეს, სასამართლომ არ დააკმაყოფილა. „აუცილებელია, რომ თავად მისტერ ჯონსონის ჩათვლით, პატიოსან შეჯიბრებაზე ყველა მძლეოსნის უფლება დაცული იყოს. უნდა გვესმოდეს, რომ სპორტული შედეგები თითოეულის უნარზე, ძალასა და სიმტკიცეზეა დამოკიდებული და არა პირად აფთიაქარზე." — განაცხადა ონტარიოელმა მოსამართლე მოირა კასველმა. მისივე თქმით, ჯონსონი გმირად ითვლებოდა და ახალ თაობაზე დიდ გავლენასაც ახდენდა, მან კი სიმდიდრე და სახელი თაღლითობით მოიპოვა. თავად ჯონსონს კომენტარის გაკეთების სურვილი არ გამოუთქვამს.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინ უსწრებს IAAF-ის ორდღიან კონგრესს, რომელიც დოპინგთან დაკავშირებულ დისკვალიფიკაციათა ვადების შემცირებას ეხება. შესაძლებელია, 4-წლიანი აკრძალვები ორამდე შეამცირონ, სტიმულიატორების ხმარებისთვის სამთვიანი დისკვალიფიკაციის მაგიერ კი ფორმალური გაფრთხილებით შემოიფარგლონ: ხელმეორე დარღვევის შემთხვევაში სასჯელს, ალბათ, უფრო გაამკაცრებენ.

კახა არჯევანიძე

კალათბურთი

# კიდევ ერთი ...

ეს ზაფხული ფრიად დატვირთულია ჩვენი კალათბურთელებისთვის. 22 წლამდელთა და კადეტთა (17 წლამდე) ნაკრებების შემდეგ ჯერი ჭაბუკთა (18 წლამდე) გუნდზეც მიდგა: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ჩეხეთის ქალაქ სოკოლოვოში, ჩეხეთის, პოლონეთის, ისრაელის, თურქეთის და ლიტვის ნაკრებებთან ერთად ჩვენი ჭაბუკებიც გამოვლენ. ტურნირი 5-9 აგვისტოს გაიმართება. ჩვენები 5-ში მასპინძლებს ეთამაშებიან, 6-ში პოლონელებს, 7-ში ებრაელებს, 8-ში თურქებს და 9-ში ლიტველებს.

ჩვენებს თბილისის „კაქტუსის" მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი უთავკაცებს. ამჟამად 18 მოთამაშე ემზადება. მათ შორის კადეტთა ნაკრების რამდენიმე წევრიცაა, რომელთაც ბელგიაში გამართულ 81 წელს დაბადებულთა ევროპის პირველობაზე გამოიჩინეს თავი. გუნდი ჩეხეთს 4 აგვისტოს გაემგზავრება, იქ წამსვლელთა ვინაობა კი წინა დღეს გაირკვევა.

ძოტე მგალოგლიშვილი

## საქართველოს პირველობა

**„ა" ჯგუფის XIV ტური**

28. 07. ქუთაისი. აია-ჰეი 19 (10) (3ლ: ჩუბინიძე, აფრიდონიძე, ქობალია; 2გ: ბეს. ხამაშურიძე) — ასკ 3 (3) (ს: ძამიაშვილი). მსაჯი ბათლომე ხამაშურიძე

29. 07. ვაკე. ყოჩები 18 (15) (2ლ: ესაკია (2), ენუქიძე (16); გ (16) და 2ს (31, 45): ტეფნაძე) — ქორები 15 (10) (2ლ: კაცაძე (37), წეველიძე (75); გ (37) და ს (13): კვინიხიძე). მსაჯი გია ჯავახიშვილი

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 11 | 10 | 1 | 0 | 238:109 | 26- 9 | 21 |
| აზოტი (რ) | 11 | 9 | 1 | 1 | 238:101 | 31- 5 | 18 |
| აია-ჰეი (ქ) | 9 | 6 | 0 | 3 | 181:118 | 23- 9 | 12 |
| ქორები | 11 | 6 | 0 | 5 | 225:147 | 25-13 | 12 |
| ასკ | 12 | 3 | 0 | 9 | 144:324 | 18-50 | 6 |
| გუმარი | 12 | 4 | 0 | 8 | 196:212 | 23-22 | 6 |

პირველი ეტაპის ბოლოს გუნდებს 12-12 თამაში დაუგროვდებათ

გუშინ აია ზესტაფონში მასპინძლობდა აზოტს. კვირას, 3 აგვისტოს ქუთათურები იქვე ეთამაშებიან „ქორებს", დღეის სწორს, 7 აგვისტოს კი თბილისში ეწვევიან „ყოჩებს". ამით პირველობის პირველი ეტაპი დასრულდება, შემოდგომაზე კი ექვსეული კიდევ ორ წრესა და პლეი-ოფს გამართავს.

# თითქო აგრილებას ელოდნენ

გუშინწინაც ცხელოდა. საზოგადოებამ ტრადიციულად მზის ჩასვლისთვის დაიწყო ვაკეში თავმოყრა და თბილისური რაგბის ლიდერთა ბოლო საზაფხულო შერკინების მეორე ნახევარსღა მიუსწრო. ბედად, კარგი ბურთაობა მაშინღა გაჩაღდა. მოკლედ, დაგვიანებულებს ბევრი არაფერი დაუკარგავთ, პირველ ტაიმს რომ ვერ უცქირეს.

სინი არც ამჯერად გათამაშებულა. თუ რატომ, გარკვევა არც გვიცდია. გუნდებს თავიანთი სატკივარი ყოფნით. ვინძლო შემოდგომისკენ მაინც დამყარდეს წესრიგი და მერე სინსაც უეჭველად მოევლება.

„ყოჩებმა" და „ქორებმა" წინა ჯერზე — 20 ივნისს რომ ითამაშეს, ლელო ერთიც ვერ გაიტანეს და 9 საჯარიმო გოლს დაჯერდნენ. ამჯერად პირველი ლელო მატჩის დაწყებისთანავე გავიდა: „ყოჩი" კახა მხეიძის გარღვევის შემდეგ „ქორთა" ლელოსთან დერეფანი გაიმართა და ლიდერებმაც ძალისმიერი, ჯგუფური ლელო გაიტანეს.

მალმა დაწინაურებამ „ყოჩებს" ეტყობა აწყინა. ბესო ტეფნაძის გარღვევა ალეკო ენუქიძის გრძელი რეიდითა და მეორე ლელოთი რომ დასრულდა, ჭერაც დაუმარცხებელმა გუნდმა კარში დასარტყამი საჯარიმოების კუთხის ალმისკენ ფეხით გაგზავნა დაიწყო, ესაო და დერეფნიდან ეფექტური ლელოები უნდა გავიტანოთო. მაგ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდა, „ყოჩებმა" ისევ კარს მიხედეს და ნახევარი საათის თავზე უკვე 12 ქულას იგებდნენ.

მერე თამაშში გარდატეხა თანდათან მოხდა. „ქორები" გახელდნენ. მატჩის დამთავრებამდე 50 წუთი რჩებოდა, მაგრამ დასარტყამი საჯარიმოების გათამაშება დაიწყეს. სითამამემ გაუმართლათ: თუ პირველად „ქორებს" ლელომდე ხუთი მეტრი დააკლდათ, მეორედ ვასილ კაცაძემ მიზანს უწია, მაგრამ დაშავდა და გუნდმაც დამრტყმელი ძალა დაკარგა.

„ქორებს" შესვენებამ არგოთ. მართალია, თამაშის განახლებისთანავე კარს ამცდარი ბურთი წინ დაუვარდათ, რასაც „ყოჩ" მორკინალთა მიძალება და ტეფნაძის ბოლო გოლი მოყვა, მაგრამ მერე ბარემ ნახევარი საათის მანძილზე სულ „ქორები" უტევდნენ და თუ თამაში ვერ მოიგეს, თავიანთ ტაქტიკურ მოუქნელობას უნდა დააბრალონ.

49-ე წუთზე ბობა კვინიხიძემ და კახა ალანიამ მოკლე ფრთაზე გარღვევა მოაწყვეს. ამას ჯარიმა მოყვა. „ქორებმა" ბურთი გაათამაშეს. მერე ზედიზედ 6 წუთი (!) ლელოს აწყდებოდნენ, მაგრამ ზომიერება აშკარად ღალატობდათ — იქით არ უტევდნენ, საითაც გარედან უფრო უპრიანი ჩანდა. ეს შტურმი იმით დასრულდა, რომ მოიერიშეები თავად დაჯარიმდნენ და სხვაობა 8 ქულა დარჩა.

58-ე წუთზე „ყოჩმა" მხეიძემ კიდევ მოაწყო გარღვევა. „ქორები" მეტოქის 22-ში 65-ე წუთზე დაბრუნდნენ, საჯარიმო კვლავ გაათამაშეს და მეტოქემ ალექსი ჩიქოვანი კუთხის ალამთან ძლივს გადაიყვანა კიდეზე.

შერკინებიდან „ქორებმა" ისევ მოკლე ფრთაზე შეუტიეს, მაგრამ მესამე ფაზაში ბურთის ჩამარხვისათვის დაჯარიმდნენ და მშვენივრად მომსაჯე ჯავახიშვილს გაუწყრნენ. ამან თამაშის შეწყვეტა დააპირა, მაგრამ უმალ დამშვიდდა და ბოლომდეც კვალიფიციურად და მიუკერძოებლად იმსაჯა, თუმც კი ესოდენ რთულ მატჩს პირველად უძღვებოდა.

69-ე წუთიდან „ქორებმა" მორიგი და ბოლო შტურმი წამოიწყეს: საჯარიმო კიდევ ორჯერ გაათამაშეს და ლელოსკენ 7-ჯერ გაიჭრნენ, მაგრამ იქამდე 10 მეტრი რომ დააკლდათ, მესამედაც დაჯარიმდნენ. გამოხდა ცოტა ხანი და მიშა წეველიძემ თავისი ფრთიდან ისე გაინავარდა, რომ იქეთაზეც გადავიდა და ეშხიანი ლელო გაიტანა.

სხვაობა ერთი გოლი რჩებოდა. „ქორები" ისევ უტევდნენ. მე-80 წუთზე „ყოჩთა" 9 ნომერმა ირაკლი გიორხელიძემ შერკინებიდან მოკლე ფრთაზე გაქუსლა და თითქმის უწია ლელოს, მაგრამ „ყოჩებმა" ბურთი დაკარგეს. კონტრშეტევა უნაკლოდ ვერც „ქორებმა" წარმართეს.

**ზაზა ფხაკაძე**



დღა ჰა, გაიმართა მელბურნის პირველი ტესტი. შაბათს დიდმა რაგბმა უცნობ მიწაზე — ავსტრალიური ბურთაობის ტაძარ „კრიკეტ გრაუნდზეც" შეაბიჯა. მართალია, ზელანდიის „ოლ ბლექსმა" ავსტრალიის „ვოლაბები" უსიტყვოდ ძლია და ვერც ბურთაობა გამოვიდა მაინცდამაინც სულისშემძვრელი, მაგრამ უკლებლივ ყველა კი კმაყოფილი დარჩა — სარფი ხომ ფრიადი შეუვიდა.

**ავსტრალიის რაგბის კავშირმა თამაშიდან 4 მილიონი დოლარი (რაც ამდენივე ლარის ბადალია) ხეირი ნახა.** თანხა ორჯერ ნაკლები გამოვიდოდა, რაგბის მამებს ბლედისლოუს თასის ეს თამაში ტრადიციულად — სიდნეიში ანაც ბრისბენში რომ დაენიშნათ. ამიტომაა, რომ რაგბი ამიერიდან აღარ მოეშვება მელბურნს და იქ მიხდომას ყოველწლიურად გეგმავს.



მასპინძლებიც დიდ მოგებაში დარჩნენ. ვიქტორიის შტატის ეკონომიკამ 60 მილიონი დოლარი მიითვალა. ამდენივე ფული შეიტანა მარტში გამართულმა ფორმულა-1-ის დიდმა პრიზმა. განსხვავება ის იყო, რომ რაგბის გამართვაზე მოსახლეობის ერთი ცენტიც არ დახარჯულა.

ახალი თამაშის შეწყნარებით მელბურნს მთელ მსოფლიოში გაუვარდა სახელი. ბლედისლოუს თასი ხომ 1956 წლის ოლიმპიადის შემდეგ იქ გამართული უდიდესი საერთაშორისო ღონისძიება იყო. ვიქტორიის დედაქალაქი ახლა ბრიტანეთის თანამეგობრობის 2006 წლის თამაშების სამასპინძლო განაცხადის წარდგენას აპირებს. გარდა ამისა, მის პრემიერ ჯეფ ქენეთს ჰონკონგის შვიდკაცის ანალოგიით ბლედისლოუს თასის მელბურნული ტესტის ტრადიციად ქცევა სურს და იქადნება, თუ კავშირი ყაბულს იქნება, მატჩს ვიქტორიაში ახალი ზელანდიის კულტურის კვირეულს დავამთხვევო.

აი, წინა კვირაშიც მელბურნს 10 ათასი „კივი" ეწვია. სტადიონზე მისული 90 ათასი კაციდან მესამედი სტუმარი იყო. სიდნეიდან სამეზობლოში 15 ათასი ჩავიდა, ბრისბენიდან — 3 ათასი, დანარჩენები კი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან იყვნენ.

დიდ თამაშს ვერც პოლიტიკოსებმა აუბზუეს ცხვირი. დიდ გვამათა ლოჟაში ბრძანდებოდნენ პრემიერ-მინისტრები ჯონ ჰოვარდი (ავსტრალიისა) და ჯიმ ბოლჯერი (ზელანდიისა). დაიდო ტასმანის ზღვით გაყოფილი ორი მეზობლის დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო ხელშეკრულებაც.

ბიზნესი იქეთ იყოს, ავსტრალია და ზელანდია კი დიდ რაგბშიც მჭიდროდ თანამშრომლობენ. აგერ 2003 წლის V მსოფლიო თასის სამასპინძლო საზიარო განაცხადიც წამოუყენებიათ.

**ამ ორმა ქვეყანამ 1987 წლის პირველ თასსაც ერთად უმასპინძლა. მაშინ უფროსი პარტნიორი ზელანდია იყო და ფინალიც ოქლენდში გაიმართა. ამჯერად საფინალოდ** სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის მთავარი სარბიელი — ჰოუმბუშ-ბეის სტადიონი შეუგულვებიათ. ნაოლიმპიადევს ამ ასპარეზის ტევადობა 80 ათასი იქნება. მას რაგბი და ლიგა დაეპატრონებიან, თუმც ისიც სათქმელია, რომ 2003 წლის ფინალის გამართვის სურვილი წინა კვირაში მადაზე მოსულმა მელბურნელებმაც გამოთქვეს.

# სარფი შემთავრესია

განაცხადის შეტანის ვადა 30 სექტემბერს იწურება. მოელიან, რომ სამხრეთი აფრიკა, ინგლისი და საფრანგეთიც წამოაყენებენ კანდიდატურებს. არჩევანი გაისად იანვრისთვისაა დაშინული. ისე კი, ცოტა სასაცილოა და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) პედანტმა მოხელეებმა ამ გაერთიანების უკლებლივ ყველა წევრ კავშირს დაუგზავნეს შეკითხვა, შეჯიბრის მასპინძლობა ხომ არა გსურთო. ჩვენ გაჭირვებულ ქვეყანაზე რომ არაფერი ვთქვათ, შეტყობინება ციცქნა ტაჰიტის, ანდორას, იამაიკას და ცხელ სპილოს ძვლის ნაპირსაც მიუვიდოდათ.

ავსტრალია და ზელანდია აგვისტოს ბოლომდე სამეულის სერიალით ისულდგმულებენ, შემოდგომაზე შინაურ პირველობებს მიხედავენ, ჩრდილოური ზამთრის პირს კი ბრიტანეთს ეწვევიან. თითქო ბლედისლოუს თასის სამი ტესტი არა კმარა, „უემბლის" მეპატრონე სინდიკატმა „ოლ ბლექსსა" და „ვოლაბებს" ლონდონის ამ არა-სარაგბო სტადიონზე კიდევ ერთი — სუპერ-ტესტის გამართვა შეთავაზა, მაგრამ სამხრეთელებმა ბრიტანელ იმპრესარიოს უარი უთხრეს, ესაო და წლის ბოლოს საკმაოდ დაღლილები ვიქნებითო.

რაგბი ამიერიდან „უემბლიზეც" ერთობ გაშინაურდება. რაკი კარდიფის „არმზ პარკი" 1999 წლის მსოფლიო თასის ფინალისათვის ხელახლა უნდა ააშენონ, უელსის ნაკრები მეტოქეებს შემოდგომიდან ლონდონში უმასპინძლებს, ოღონდ არა სამხრეთ გარეუბან თვიქნემში, არამედ ჩრდილოეთით მდებარე უემბლიში.

ჰოდა, წლევანდელი 15 ნოემბერი სუპერ-შაბათი გამოდიოდა: ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ უბანში ინგლისი და ავსტრალია შეიბმებოდნენ, მეორეში — უელსი და ახალი ზელანდია. მერე და მერე ბრიტანელებმა იაზრეს, რომ ერთ დღეს ორი ამოტოლა რაგბის ერთ ქალაქში გამართვა დიდი სირეგვნე იქნებოდა და ტურნეთა განრიგიც სათანადოდ შეცვალეს.

მსგავსი მოსაზრებებით შეიცვალა საგაისო ხუთი ერის პირველობის კალენდარიც. არა, ოდინდელ ხუთეულს იტალია არ აუმატებია, მაგრამ ერთი, რომ შეჯიბრი ამიერიდან თებერვალში დაიწყება და აპრილში დასრულდება, და მეორეც, პირველად იქნება, რომ ორი თამაში შაბათის ნაცვლად კვირას გაიმართება. ამის წყალობით 4-5 აპრილი დიდი სარაგბო ვიქენდი გამოდის: ლონდონში შაბათს ინგლისი და ირლანდია თამაშობენ, კვირას კი — უელსი და საფრანგეთი. ორივე ბოლო ტურის მატჩია.

ევროპელი ბობოლები თუ იტალიას არ იღებენ თავიანთ საძმოში, სამხრეთი ნახევარსფეროს სამი ბუმბერაზი, სანზარ-ში რომ გაერთიანებულა და რუპერტ მერდოქის ფულით პროვინციულ ზე-12-სა და ნაკრებთა სერიალს მართავს, თავს არ უტოლებს მულლაზანზარს — წყნარ ოკეანეში ჩაკარგულ სამოას, ფიჯსა და ტონგას. არადა, თუ ავსტრალია და მეტადრე ახალი ზელანდია დღეს რამეს წარმოადგენენ, ამას აბორიგენებსა და კუნძულელ მოთამაშეებსაც უნდა უმადლოდნენ.

ეს კი ასეა, მაგრამ დიდი სამეული სულ სხვას ფიქრობს. სანზარს არა სურს, რომ მერდოქის ფულის წილში ვინმე ჩაუდგეს. ისიც კარგად ესმის, რომ თუ მულლაზანზარს ყველა უფლება ექნება, მის მოთამაშეებს ველარ აცდუნ-გადაიბირებს.

სთარ თი-ვი სამეულის სერიალის დარჩენილ ოთხივე თამაშს პირდაპირ გადმოცემს. შაბათს, 2 აგვისტოს, ბრისბენიდან ავსტრალია — სამხრეთი აფრიკის მატჩის რეპორტაჟი საქართველოს დროით 15 საათზე დაიწყება.

წლევანდელი ზე-12 ყოველმხრივ წარმატებული შეჯიბრი იყო. უკვე საუბარია მონაწილეთა გამრავალრიცხოვანებაზე. ეს რომ იციან, სამოამ, ფიჯმა და ტონგამ სანზარს მოახსენეს, რომ მზად არიან, შექმნან საზიარო — ზღვისრეთის გუნდი და შეჯიბრში თუნდაც გაისიდან ჩაებან.

მულლაზანზარელთა არგუმენტები შეუვალი ჩანდა. ერთი, რომ ზე-12 რეგიონთა შეჯიბრია და თავადაც რეგიონს წარმოადგენენ. მეორეც, სამივეს ჯამური მოსახლეობა ერთი მილიონია, რაც ზელანდიის რეგიონთა უმეტესობაზე მეტია. მესამეც, ზღვისრეთის ჩაბმა ზე-12-ს გაამრავალფეროვნებს, ეშხს შემატებს და მსოფლიოს ამ კუთხეში რაგბის განვითარებასაც შეეწევა.

ტოლი ნახეთ, კოჰი გააგორეთო! — ასეთი პასუხით გაისტუმრა სამმა სამხრეთელმა ბობოლამ მულლაზანზარი. ამასაც რა დარჩენია — ან რეგიონში უნდა გამოიკეტოს, ანაც აზიელებსა და ამერიკელებს შეუამხანაგდეს

სანზარმა მულლაზანზარს ცივი უარი ტკიცა. ესაო და საქმე აწყობილი გვაქვს, თქვენი ჩართვით კი აგვერევაო. თქვენი მატჩები მაყურებელსა და სპონსორს ვერ მოიზიდავსო. თუ რაგბის განვითარება გსურთ, მიდით და ძველებურადვე თქვენი პირველობა მართეთო. მოკლედ, თბილის-ქალაქურად თუ მოვჭრით, ტოლი ნახეთ, კოჰი გააგორეთო!

ზე-12-ის წინამორბედებში — ჯერ ზე-6-ში, შემდეგ კი ზე-10-ში კუნძულთა ერთი გუნდი ყოველთვის მონაწილეობდა. რაც საქმეს მერდოქმა მოკიდა ხელი, ბობოლებმა ღარიბები „მოტეხეს", რაკი ფრიადი გეგმები მხოლოდ თავისთვისა აქვთ: როცა გაფართოების დრო მოვა, ავსტრალია მელბურნის ანაც პერთის გუნდს წარადგენს, სამხრეთი აფრიკა და ზელანდია კი კიდევ თითო რეგიონს მიავლენენ.

აფრიკა რეგიონს მიავლენსო, შეცდომით არ დაგვიწერია. გაისად მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყანაც ზელანდიურ მოდელს გაიზიარებს, რადგან დარწმუნდა, რომ ალალი პროვინციებით მეტოქის რეგიონებს ვერ ერევა. ჰოდა, 1998 წლიდან ქარრის თასის მონაწილე 14 გუნდიდან შედგება ოთხი ნაკრები, სხარტი სახელები დაერქმევა და აფრიკა მათით გაეჯიბრება ხუთი ნაკრებით — „ლურჯებით", „გრიგალებით", „მთიელებით", „ბელადებითა" და „ჭვაროსნებით" წარმოდგენილ ზელანდიას.

ბოლოს ისევ მულლაზანზარს მივუბრუნდეთ. იქ პირველობა ჩვეულებრივ ჩაამთავრეს. ტონგას ჯერ ფიჯმა მოუგო 20:10, მერე სამოამ 62:13. მოგებულები ბოლოს სამოას დედაქალაქ აპიაში შეიბნენ და თუმც ორ-ორი ლელო გაიტანეს, გამარჯვება მაინც მასპინძლებს დარჩათ 26:17.

**ნიკო ვეფხვაძე**

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## პან-არაბული

### ვინაა მართალი?

ლიბანი 1975-90 წლებში სამოქალაქო ომმა მოიცვა. დაიქცა აღმოსავლეთის პარიზი — ქვეყნის დედაქალაქი ბეირუთი. ამბობენ, რომ [illegible], ქვეყნის მთავარი სტადიონის აღდგენას 50 მლნ US$ მოხმარდა. ჰოდა, 12-27 ივლისს ამ ასპარეზმა სრულიად არაბეთის VIII თამაშებს უმასპინძლა. შეჯიბრში 19 ქვეყნის 2 200 ათლეტი მონაწილეობდა, პროგრამაში კი სპორტის 20 სახეობა იყო. ფეხბურთს, ცურვას, კალათბურთს, მძლეოსნობას, ძალოსნობას, სროლას, ველოსპორტსა და სხვა ტრადიციულ სახეებს მხარი დაუმშვენეს პინგ-პონგმა, გოლფმა და კარატემ.

თამაშები რიგიანად იყო ორგანიზებული. დოპინგ-კონტროლი სისტემატურად ტარდებოდა. ჩავარდა 12 სპორტსმენი. ეს არაბთა თამაშების ისტორიაში პირველი შემთხვევა ყოფილა. არადა, ეს ღონისძიება პირველად 1953 წელს გაიმართა ეგვიპტის პორტ ისქანდერიეში (ალექსანდრია).

ქუვეითის წაქეზებითა და საუდელთა დაჟინებით ერაყის დელეგაცია სირიისა და ლიბანის საზღვარზე აყურყუტეს, მერე კი შინ გაისტუმრეს. ეგვიპტელმა მოცურავე რანია ალვანიმ, მეტსახელად ნილოსის თევზი რომ ქვია, ერთბაშად 9 ოქრო მოიხვეჭა, რაც ახალი რეკორდია. თამაშები კი მაინც სკანდალით დასრულდა: ფეხბურთის ფინალში სირიამ 0:1 რომ წააგო იორდანიასთან, მისმა 30 ათასმა ქომაგმა დალეწა 400-მდე სკამი და ბოთლებთან ერთად მოედანზე გადაყარა, სირიელმა მობურთალეებმა კი ფოტოგრაფები გააპანღურეს. წესრიგი ბოლოს ისევ ჯარმა დაამყარა.

გადაწყდა, რომ შემდეგი თამაშები იორდანიაში მოეწყოს. „როიტერის" ცნობით ისინი 2001 წელს გაიმართება, „ფრანს-პრესის" თანახმად კი — 1999 წელს. ახლა მიდი და არკვიე, მართალი რომელია.

| მედლები: | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 97 | 58 | 40 | 194 |
| ალჟირი | 43 | 44 | 44 | 131 |
| მაროკო | 19 | 14 | 17 | 50 |
| სირია | 16 | 30 | 37 | 83 |
| ყატარი | 9 | 6 | 2 | 17 |
| ტუნისი | 9 | 12 | 26 | 47 |
| ლიბანი | 7 | 16 | 51 | 74 |
| იორდანია | 8 | 10 | 21 | 39 |
| საუდთა არაბეთი | 7 | 10 | 21 | 38 |
| ქუვეითი | 1 | 13 | 20 | 34 |
| ომანი | 1 | 1 | 1 | 3 |
| სუდანი | - | 1 | 2 | 3 |
| ლიბიის ჯამაჰირია | - | 1 | 1 | 2 |
| საამიროები | - | 1 | 1 | 2 |
| იემენი | - | 1 | - | 1 |
| პალესტინა | - | - | 4 | 4 |
| ბაჰრეინი | - | - | 1 | 1 |

მავრიტანია და ჯიბუტი უმედლებოდ დარჩნენ. ერაყი შეჯიბრში არ დაუშვეს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29